619/3
1975



# დროშა

იანვარი
№ 1 1975 წ.




ეროვნული ბიბლიოთეკა

ლადო სულაბერიძე

## ახალწლის კართან

წამით შეჩერდი ახალწლის კართან,
თვალი შეავლე ნაშენს შარშანდელს.
რა დააკელი ნახნავს და ნართავს,
შეხედე ახალ ფრთების გაშლამდე.

ხელს რო შეახებ ვაზსა და სიმინდს,
კარგად ჩაჰხედე სულის საყანეს,
ხომ არ გაუწყდა ჟღერადი სიმი
კაცურ ჩანგს, მარადს და სათაყვანებს.

ხომ არ შელახე, ხომ არ შელახე
ქართული ზნე და ქართული წესი.
და მიადექი ახალ ვენახებს
უპატიოსნეს რუსთველის ლექსით.

წამით შეჩერდი ახალწლის კართან,
ჩამოიფერთხე ყველა ცდუნება.
ყური მიაპყარ ალალ და მართალ
საქმის ზარების აგუგუნებას.

სულში ცისარტყლის ღვარი შემოსკდეს,
ჩამოჰკარ ხელი განწმენდილ ლარებს.
და გადგი ფეხი ახალ ლელოსკენ,
ფრთა გაუსწორე ახალწლის ქარებს.



სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟ-ნევი და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯ. ფორდი აეროდრომზე.

# ქვეყანა რომ იყოს მშვიდობა!

1974 წლის 23-24 ნოემბერს ვლადივოსტოკის რაიონში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. ფორდის სამუშაო შეხვედრები ურთიერთსაინტერესო საკითხებზე აზრთა გაზიარებისათვის.

შეხვედრების დროს მოხდა აზრთა ყოველმხრივი და კონსტრუქციული გაზიარება ფუნდამენტალურ პრობლემებზე, კვლავ დადასტურდა ორი სახელმწიფოს მტკიცე გადაწყვეტილება, რომ განუხრელად ანხორციელებდნენ ურთიერთვალდებულებებს, რომლებიც აღნიშნულია 1972-1974 წლებში ხელმოწერილ დოკუმენტებში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მთლიანად და სავსებით იწონებენ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის საქმიანობასა და შეხვედრის დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ შედეგებს.

საბჭოთა ადამიანები ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ ეს შეხვედრა ახალი სტიმული იქნება ხალხთა ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისა და მშვიდობის განმტკიცების საქმეში.



სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი და მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ჰურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ცედენბალი.

მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის III ყრილობისა და მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების 50-ე წლისთავის აღსანიშნავ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად 1974 წლის 25 ნოემბერს ულან-ბატორში ჩავიდა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი ხელმძღვანელობდა.

საბჭოთა დელეგაცია შეხვდა მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ჰურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ი. ცედენბალს, რესპუბლიკის პარტიულ და სახელმწიფო ხელმძღვანელებს.

მეგობრულ, გულითად საუბრებში შეეხნენ ძმური თანამშრომლობის განვითარების საკითხებს, ზოგიერთ აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებს, ხელმოწერილი იქნა შეთანხმება ეკონომიური თანამშრომლობის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ამ ვიზიტმა და აზრთა გაზიარებამ ცხადყო ჩვენი ქვეყნების ურღვევი მეგობრობა, მათი მტკიცე გადაწყვეტილება, კვლავაც იბრძოლონ მთელს მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი და საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ჟისკარ დ'ესტენი საუბრის დროს.



1974 წლის 4 დეკემბერს საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ვ. ჟისკარ დ' ესტენის მიწვევით პარიზში სამუშაო ვიზიტით ჩავიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი და მისი თანმხლები პირები.

პარიზში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ეკონომიურ შეთანხმებას, სხვადასხვა საგანგებო მნიშვნელობის დოკუმენტებს. მოხდა აზრთა გაზიარება ურთიერთსაინტერესო საერთაშორისო პრობლემებზე, შეჯამდა უმაღლესი დონის მოლაპარაკების საერთო შედეგები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მთლიანად და სავსებით იწონებენ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის საქმიანობას და კმაყოფილებას გამოთქვამენ პარიზში მიღწეული შეთანხმების გამო.

ეს იყო ნაყოფიერი და სასარგებლო მოლაპარაკება. მოლაპარაკების წარმატებით დამთავრება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ხალხთა ურთიერთგაგების ატმოსფეროს შექმნას და მშვიდობიან თანაარსებობას.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. რესპუბ.

# გილოცავთ, ქვეყნის ჯილდოებს!

## ჯილდოები იუბილარებს

ქართველი ხალხი, მთელი ჩვენი ლიტერატურული საზოგადოება დიდი კმაყოფილების გრძნობით შეხვდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას იუბილარი ჟურნალების „მნათობისა" და „საქართველოს ქალის" „საპატიო ნიშნის" ორდენებით დაჯილდოების შესახებ.

ქართული მწერლობის უპირველესი ჟურნალი „მნათობი" თავისი არსებობის ნახევარსაუკუნოვან გზაზე ყოველთვის იდგა ჩვენი ლიტერატურის ავანგარდში, მუდამ მტკიცედ და თანმიმდევრულად იბრძოდა ქართული მწერლობის იდეური სიწმინდისათვის, პოეზიის, პროზის, დრამატურგიისა თუ კრიტიკული აზროვნების განვითარებისა და მაღალმხატვრულობისათვის, ჩვენი პარტიისა და მთავრობის მიზანდასახულობათა ცხოვრებაში განუხრელად გატარებისათვის.

სახელოვანი გზა განვლო ჟურნალმა „საქართველოს ქალმა". ნახევარი საუკუნის განმავლობაში ჟურნალი მუდამ აქტიურად ილწვოდა საბჭოთა საქართველოს ქალთა კომუნისტური აღზრდისათვის, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანათა შესასრულებლად მათი დარაზმვისათვის.

ნახევარსაუკუნოვანი „დროშა" მხურვალედ მიესალმება „მნათობსა" და „საქართველოს ქალს". შემდგომ წინსვლასა და წარმატებებს უსურვებს

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**საპატიო წოდებების „საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტისა" და „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის" მინიჭების შესახებ**

პრესის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, ჟურნალების „მნათობის", „საქართველოს ქალისა" და „დროშის" ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდებანი:

**საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტისა:**

**ბახტაძეს** გულნარა ვლადიმერის ასულს — ჟურნალ „დროშის" განყოფილების გამგეს.

**კაკაბაძეს** ლია ვლადიმერის ასულს — ჟურნალ „საქართველოს ქალის" განყოფილების გამგეს.

**საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკისა:**

**აგიაშვილს** მარიამ ილიას ასულს — ჟურნალ „მნათობის" უფროს ლიტმუშაკს.

**ანდღულაძეს** თამარ ლუკას ასულს — ჟურნალ „მნათობის" განყოფილების გამგეს.

**გოგოლაძეს** თენგიზ გიორგის ძეს — ჟურნალ „დროშის" პასუხისმგებელ მდივანს.

**კომახიძეს** ლალი დავითის ასულს — ჟურნალ „მნათობის" კორექტორს.

**მახარაძეს** ქსენია იონას ასულს — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბის მუშას.

**რუხაძეს** ნოდარ დომენტის ძეს — ჟურნალ „მნათობის" განყოფილების გამგეს.

**სეფიაშვილს** დავით ალექსის ძეს — ჟურნალ „დროშის" ტექნიკურ რედაქტორს.

**ჩაკვეტაძეს** რუსუდან აკაკლონის ასულს — ჟურნალ „მნათობის" ტექნიკურ რედაქტორს.

**ხიზანიშვილს** ელენე პეტრეს ასულს — ჟურნალ „მნათობის" კორექტორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1974 წლის 29 ნოემბერი.

[illegible]

[illegible] 31. XII. 1974

მე სახელოვან ქართველ მეჩაიეთა არმიის წარმომადგენელი ვარ.

შარშანდელი წელი ჩვენთვის არნახული გამარჯვების წელი იყო. ასეთი უხვი მოსავალი ჯერ არასოდეს მიგვიღია. თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ თუ ვიტყვი, რომ მეც სასახელოდ ვიშრომე. მოდით, თუ გნებავთ, ციფრებს მოვიშველიებ. 1973 წელს 0,7 ჰექტარი ფართობიდან გეგმით 5.300 კილოგრამი ჩაის ფოთოლი უნდა მომეკრიფა, ფაქტიურად კი 8.300 კილოგრამი ჩავაბარე მიმღებ პუნქტს. შარშან იგივე ფართობიდან 12.000 კილოგრამი „მწვანე ოქრო" მოვკრიფე, გეგმით კი 7.300 კილოგრამი უნდა მომეკრიფა.

ხუთწლედის დამამთავრებელ წელს ამ ციფრს, რაღა თქმა უნდა, კიდევ უფრო მეტად გავზრდი.

მთელი ჩვენი მეჩაიეების სახელით ჟურნალ „დროშის" მკითხველებს, ყველა მშრომელს მინდა მივულოცო ახალი, 1975 წლის მობრძანება.

სიხარული დაგვებედოთ!

გამარჯვება და ჯანმრთელობა დაგვებედოთ, მეგობრებო!

**მზია მალაზონია,**
მახარაძის რაიონის სოფელ კონჭკათის კოლმეურნეობის მეჩაიე.

გასული წელი ბევრი სიხარულის მომტანი იყო ჩემთვის, ჩემი კოლმეურნეობისათვის, პირადად ჩემთვის და ჩემი ოჯახისათვის.

ველისციხელების მშვენიერ ვენახებს რომ გენახათ, ზვრების ჟუნახავი გახდებოდით. მოსავალს ზღვა პირი უჩანდა, მაგრამ ტიალმა სეტყვამ ასობით ტონა ყურძენი გაგვინადგურა. თავი მაინც არ შევვირცხვენია. ისე ვეცადეთ და ვესათუთებოდით ვაზს, რომ გეგმა დიდი გადაჭარბებით შევასრულეთ. ჩვენმა კოლმეურნეობამ 4.100 ტონა ყურძენი მიჰყიდა სამშობლოს, გეგმა კი 3.060 ტონას ითვალისწინებდა.

პირადად ჩემი ბრიგადის ვენახებში 116 ცენტნერი ყურძენი მოვკრიფეთ ყოველ ჰექტარზე. გეგმით 62 ცენტნერი უნდა მოგვეკრიფა. სეტყვას რომ თვალი დაეხუჭა, რატომ 170 ცენტნერს არ მივიღებდით!

ყურძნობისას მესამე შვილიშვილი შემეძინა. ორი უკვე მყავდა, მაგრამ ორივე ვაჟები არიან და გოგოც ძალიან მეწადა. ნუწყია დავარქვით.

შარშან სოფელს ოთხსართულიანი ახალი სკოლა შემატა, სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ბუნებრივი გაზის გაყვანა მოსახლეობისათვის. გაზის მილებს ფეხდაფეხ ასფალტი მოჰყვება. გასაკეთებელი კიდევ ბევრია, რაც შარშან ვერ შევძელით, 1975 წელს გავაკეთებთ.

ვულოცავ ახალ წელს ჩვენს მევენახეებს, სახელოვან მეჩაიეებს, მეპინდვრეებს, მეცხოველეებს, ყველა მშრომელს. დაე, ეს წელი უფრო ხვავიანი, უფრო ბედნიერი ყოფილიყოს ჩვენი დიდი ქვეყნისათვის!

**მიხეილ მექვევრიშვილი,**
გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

სამხედრო სამსახურიდან დემობილიზაციის შემდეგ ჩემი ცხოვრება ფოთის ნავსადგურის სახელოვან კოლექტივს დავუკავშირე.

მას შემდეგ ოცდაერთი წელი გავიდა. მეამწედ ვმუშაობ. უბრალო მუშაკაცი მონდომებულმა შრომამ ცხოვრების დიდ გზაზე გამომიყვანა. გავხდი შრომის დამკვრელი, ლენინის ორდენის კავალერი.

1974 წლის 20 აგვისტო მარად დაუვიწყარი იქნება ჩემთვის. ის იყო, მეორე ცვლაში უნდა გავსულიყავი, რომ ტელეფონით მთხოვეს ნავსადგურის პარტიულ კომიტეტში მივსულიყავი. ამხანაგები შემომეხვივნენ, ხელს მართმევდნენ, მილოცავდნენ. გადმომცეს წერილი, რომელსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი აწერდა ხელს.

ჩემი შრომის ასეთმა მაღალმა შეფასებამ ფრთები შემასხა. ხუთწლიანი გეგმა ჯერ კიდევ მაისში გავანაღდე. ახალ წელს კიდევ უფრო მეტი მონდომებით შევუტევთ საქმეს. 1975 წელი ჩვენი დიდი გამარჯვებების წელი იქნება!

**ბიჭი გუგუშვილი,**
მუშა.



## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**ჟურნალების „მნათობის", „საქართველოს ქალის" და „დროშის" მუშაკთა ჯგუფის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

პრესის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, ჟურნალების „მნათობის", „საქართველოს ქალის" და „დროშის" ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდეს ამ გამოცემათა მუშაკების ჯგუფი:

**ალხაზიშვილი** შალვა ილიას ძე — ჟურნალ „მნათობის" განყოფილების გამგე.

**არჩვაძე** თარხან კონდრატეს ძე — ჟურნალ „დროშის" ფოტოკორესპონდენტი.

**ბარათაშვილი** მარიკა გერვასის ასული — ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქტორი.

**ბარათაშვილი** ნანული კვირიკეს ასული — ჟურნალ „საქართველოს ქალის" განყოფილების გამგე.

**ბუკია** ემა გერმანეს ასული — ჟურნალ „საქართველოს ქალის" კორექტორი.

**გიორგობიანი** ოლღა ბიძინას ასული — ჟურნალ „დროშის" მდივანი-მემანქანე.

**დემეტრაშვილი** ოთარ ივანეს ძე — ჟურნალ „დროშის" განყოფილების გამგე.

**დათოშვილი** ლეილა სოლომონის ასული — ჟურნალ „მნათობის" რედაქციის გამგე.

**თარგამაძე** ნაზი დომენტის ასული — ჟურნალ „მნათობის" ლიტერატურული თანამშრომელი.

**იაკობაშვილი** დავით ვლადიმერის ძე — ჟურნალ „საქართველოს ქალის" ფოტოკორესპონდენტი.

**კალანდაძე** მირცა ილიას ასული — ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქტორის მოადგილე.

**კილასონია** ნაზი გიორგის ასული — ჟურნალ „საქართველოს ქალის" განყოფილების გამგე.

**მარგიანი** რევაზ აკაკის ძე — ჟურნალ „დროშის" რედაქტორი.

**ნოჟია** დიმარა მისელის ასული — ჟურნალ „დროშის" მხატვრული რედაქტორი.

**სიგუა** ალექსანდრე კონდრატეს ძე — ჟურნალ „დროშის" უფროსი ლიტმუშაკი.

**სოგომონოვი** რაჩიკ გრიგოლის ძე — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბის მუშაკი.

**შატბერაშვილი** მზია გიორგის ასული — ჟურნალ „მნათობის" ლიტერატურული თანამშრომელი.

**ჩოფიკაშვილი** ირმა გიორგის ასული — ჟურნალ „საქართველოს ქალის" ტექნიკური რედაქტორი.

**ცაგარეიშვილი** ნანული რაჟდენის ასული — ჟურნალ „საქართველოს ქალის" განყოფილების გამგე.

**წულუკიძე** ივანე ვლადიმერის ძე — ჟურნალ „მნათობის" განყოფილების გამგე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე —
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი —
ზ. კვაჭაძე

თბილისი 1974 წლის 29 ნოემბერი.

ქართული ბიბლიოთეკა

„სიმღერა საქართველოზე" — ასე დავარქვი ბიჭვინთის კომპლექსის ერთ-ერთ ზღვისპირა კორპუსში ჩემს მიერ შესრულებულ პანოს. თბილისის ფუნიკულიორის ზედა სადგურის შენობაში დაწერილ პანოს კი, რომელიც ამ ციკლის მეორე ნაწილია, „ფიროსმანის მონატრება" ვუწოდე.

მოხარული ვარ, რომ ამ პანოებისთვის 1974 წელს სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატობა მომენიჭა.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო" უახლოეს ხანში გამოსცემს „ქართული ხალხური პოეზიის ანთოლოგიას". ამ წიგნისთვის რამდენიმე გრაფიკული ილუსტრაცია დავხატე. გარდა ამისა, შარშან მხატვრულად გავაფორმე პერგოლეზის ოპერა „ქალბატონი მსახური", რომლის დადგმა თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიურმა თეატრმა განახორციელა.

დიდი სამამულო ომის გამარჯვებით დაგვირგვინების 30-ე წლისთავთან დაკავშირებით განზრახული მაქვს გამოფენაზე წარვადგინო რამდენიმე ნამუშევარი...

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ჩემს კოლეგებს, ყველა მშრომელს, მივულოცო ფეხბედნიერი 1975 წლის მობრძანება.

**ნიკოლოზ იგნატოვი,**
მხატვარი

1974 წელს ბევრი სიხარული განვიცადე. ყველაზე დიდი სიხარული მაინც 2 ივლისს მერგო. ამ დღეს ტყვარჩელში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის წერილი მივიღე.

ლეონიდ ილიას-ძე მაღალ შეფასებას აძლევდა ჩემს შრომას. წერილი რომ გადავიკითხე, ერთბაშად მოვინდომე გონების თვალი გადამეწვდინა ჩვენი ვრცელი სამშობლოსთვის, დამენახა ყველა პატიოსანი მშრომელი, მინდვრის მუშა თუ მეშახტე, მშენებელი თუ ტყის მჭრელი, მწყემსი თუ მევენახე, მეჩაიე თუ მებადური. ერთი სიტყვით, ისინი, ვინც ძლიერებას მატებენ ჩვენს ქვეყანას, ვისი შრომაც შეუმჩნეველი არ რჩება.

ახალ წელს მეტი გარჯა და შრომა გვმართებს. სწორედ ეს თავდადებული შრომა მოგვიტანს და მოგვანიჭებს ახალ სიხარულს.

**ლეონტი ტყებუჩავა,**
მეშახტე, სოციალისტური შრომის გმირი.

შარშან, ალოობის პირველსავე დღეს მოსავალი 12 ჰექტარზე ავიღე და 42 ტონა მარცვალი გავლეწე. გაზეთ „კომუნისტის" მიერ დაწესებული ვიმპელი ჩემს კომბაინზე აფრიალდა.

მტკიცედ გადავწყვიტე, პირველობა არავისთვის დამეთმო. მკის დაწყების მეორე დღეს 18 ჰექტარზე ავიღე მოსავალი. ვიმპელი კვლავ ჩემთან დარჩა. რაღა ბევრი გავაგრძელო, ეს ვიმპელი ახლაც ჩემთან არის.

შარშან 325 ჰექტარზე 1.078 ტონა მარცვლეული გავლეწე. ეს მთელს რესპუბლიკაში ყველაზე საუკეთესო შედეგი იყო.

ხუთწლედის დამამთავრებელ წელს კიდევ უფრო ნაყოფიერად მინდა ვიშრომო. დაე, ახალ წელს ჩვენი ყველა სურვილი და მისწრაფება აგვიცხადდეს!

**მიხეილ ლალიაშვილი,**
წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 1 (457) იანვარი, 1975 წ.

გამოცემის წელი 52-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა", 1975



## მრავალს დაესწარით!

ამ გრძნობამ უამრავი საუკუნე გამოიარა. ერთ დროს მარტივი გაღრმავდა და გართულდა. რაც უფრო მგრძნობიარე და აზრიანი გახდა ადამიანი, მით უფრო გაიზარდა მისი შინაარსი, მით უფრო დაუახლოვდა ტრაგიკულს, მით უფრო საყოველთაო გახდა და ადამიანური ვნებათაღელვის ოკეანეში მთავარ მდინარებად აღვიქვამთ ახლა — მას დედის მოლოდინი ჰქვია.

ქანდაკებას საოცრად უხდება, როდესაც მას ძვირფასი ქვიდან მთლიანად არ გამოაცალკევებენ, როდესაც იგი ქვის მასიდან ამოზრდილი დგას ჩვენს წინაშე და ხელოვნებისა და ბუნების მთლიანობას შეგვაგრძნობინებს. ასეთ ქანდაკებას გვაგონებს სანდრო შანშიაშვილის ლექსი „დედისერთა ლეწინთან". დედის წერილი, რომლიდანაც მძლავრად „ამოიზარდა" დიდებული ლექსი, ნაწარმოების ემოციური და აზრობრივი კონსტრუქციის ორგანული ნაწილია.

„შვილო, ეგების გამიგო ჩემი ვაჟიკას ამბავი, შენ ყველა გიცნობს, ხმა მიაწვდინე. ომიდან შინ აღარ დაბრუნებულა. ცხრა წლის წინათ კიდევ მივიღე წერილი, რაღაც სამოქალაქო ომში ვიბრძვით. შემდეგ აღარაფერი ვიცი, მკვდარია თუ ცოცხალი? მე კი სულ შვილის მოლოდინში ვარ. დამწყდა თვალები. გამიგე აგრემც შერჩები ქვეყანას!" (დედის წერილიდან).

წამძღვარებული წერილი ისეა „შერჩეული", რომ ყოველ მის წინადადებაში ომში დაკარგული შვილების მომლოდინე დედათა განწყობილებაა გაცხადებული. ერთი დეტალიც კი არ გარევია ზედმეტი, რაც სანტიმენტალიზმის ნაკადს გაუხსნიდა კარს და განცდას გააუფასურებდა. სიტყვა ზუსტია და სათქმელის მთლიანად დამტევი, ხოლო სათქმელი თითქოს ჟამთა დინებამ ალმასის სიმკვრივით შეადედა, რათა ყველასათვის ნაცნობი და მახლობელი ყოფილიყო.

ხალხური პოეზიის სისადავე ზოგჯერ კლასიკური პოეზიის არტისტულობას უთანაბრდება ღირსებით. ამგვარი სისადავის მიღწევა იმიტომაც რჩება სანუკვარ ოცნებად. სწორედ ეს სისადავეა მიღწეული სანდრო შანშიაშვილის ლექსში.

არსებობს დიდებული ლექსები, რომლებიც ათასგვარ განცდას აძლევენ დასაბამს. ისინი ჩვენი სულიერი წყობის შესაბამისად წამოშლიან განცდებს. შემდეგ შეანივთებენ მათ და თავის ნებაზე წარმართავენ მკითხველის განწყობილებას. თვით ლექსში კი მხოლოდ მინიშნებულია ყველაფერ იმაზე, რასაც წაკითხვის შემდგომ განვიცდით. „დედისერთა" არ ეკუთვნის ასეთ ლექსებს. ეს ლექსი სხვა ხასიათისაა, თვით მასშივე ცოცხლობს სრულყოფილი განცდა და ფიქრი, არა მარტო ვგრძნობთ, არამედ ვხედავთ კიდეც ამ განცდის ფორმას. ვხედავთ მის ყოველ ნიუანსს, ყოველ დეტალს. არ ვგულისხმობ ლექსის ფერწერულ მხარეს. ფერწერა მხოლოდ ერთი ნიშანია, თანაც შემადგენელი და არა განმსაზღვრელი, ვგულისხმობ ლექსის ლოკალურ საზღვრებშივე მოქცეული განცდისა და ფიქრის სრულქმნილ სიცოცხლეს, როგორც დამოუკიდებელ ფენომენს:

გარეთ ცივა, ჰქრის ქარი!
მთვარე ვახშმობს მუხებში,
დახშულია ჭიშკარი,
აძევს კლიტე უხეში,
დედაბერი მიმჯდარა
ბუხრის ახლო, კუთხეში,
თვალში ცრემლი დამშრალა...
მოხუცს ვინ სცეს ნუგეში?

მართალია, პოეტი ფერწერით აღწევს განცდის ცხოველმყოფელობას, მაგრამ სწორედ ეს უკანასკნელი გადმოდის წინა პლანზე და სხვა ყველაფერი იჩრდილება, თუმცა ლექსის დაწმენდილ სიღრმეში, როგორც სარკეში, ჩანს პოეტისეული ფერწერა. ამ ფერწერამ ერთ დროს ლიტერატორთა მთავარი ყურადღება მიიტაცა, რადგან მეტაფორა — „მთვარე ვახშმობს მუხებში" აღიქმებოდა უნიკალური ღირსების პოეტურ ხილვად. ეს ღირსება დღესაც არ გაფერმკრთალებულა. მაგრამ გაცილებით მნიშვნელოვანია არსი ლექსისა, რომლის სრულყოფილ აღქმას სწორედ მეტაფორული აზროვნება განაპირობებს. მეტაფორული აზროვნება მიგვიძღვება განცდათა სათუთი ქსოვილისაკენ, „დახშულ ჭიშკარს" იქით ცალკე ქვეყნად რომ გადაგვიშალა პოეტმა.

დახშულია ჭიშკარი,
აძევს კლიტე უხეში, —

ეს მიჯნაა, რომლის იქით ტრიალებს ჩვეულებრივი ცხოვრება, თავისი განტოტვილი სირთულით და წახნაგებით, სიმწარითა და სიხარულით. ამ მიჯნის იქით კი:

დედაბერი მიმჯდარა
ბუხრის ახლო, კუთხეში,
თვალში ცრემლი დამშრალა...
მოხუცს ვინ სცეს ნუგეში? —

ფიზიკურად სხვა საზღვრები არა აქვს აღწერილ ქვეყანას: ოთახი, ბუხარი და ბუხრის კუთხეში მომლოდინე მოხუცი დედა.

როდესაც გრძნობა იკირება, სიმბოლოს სიმკვრივეს იძენს იგი. მფეთქავი განცდები იპყრობს მთლიანად მკითხველის ფიქრებსა და წარმოდგენებს: ომში დაკარგული შვილის მოლოდინის გრძნობას გაუმსჭვალავს საშინელ სიჩუმეში ჩა-

ნახატი დინარა ნოდიასი



მთავარი რედაქტორი რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია: გ. გახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ს. დურმიშიძე, ლ. კალანდაძე, ვ. კიკნაძე, ა. კუსრაშვილი, ა. მინდაძე, გ. ნატროშვილი, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), ი. ტაბაღუა, უ. ჯაფარიძე

ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი
კორექტორი ტ. თაბორიძე

# „დედისერთა ლენინთან“

ძირული ეს მიკროსამყარო. პირველივე შეგრძნება ცხადყოფს, რომ არ არსებობს უფრო სევდიანი, უფრო დიდებული გრძნობა, ვიდრე „ბუხრის ახლო“ კუთხეში მიმჯდარი დედის გრძნობა. გარემომცველი ქვეყანა წყვდიადად აღიქმება მოხუცის მიერ. ერთადერთი ნათელი წერტილი კიაფობს ამ წყვდიადში — იმედის ნაპერწკალი, რომელიც ჯერ კიდევ აღვივებს მოლოდინის გრძნობას და ღამეებს თეთრად ათენებინებს საბრალო ქალს:

ჩასთვლემს, ისევ ილვიძებს,
ღამეს თეთრად ათენებს,
გულისყური ერთზე აქვს
მის გულს ერთი ამრთელებს.

ლექსში მოძრავი აზრის კანონზომიერება თითქოს ერთადერთ და აუცილებელ სტრიქონს ითმენს, პოულობს კიდეც და თავის ადგილზე ათავსებს „მის გულს ერთი ამრთელებს“.

გაბზარულია დედის არსება, სულიც დასცილდა ხორცს, მაგრამ მისი არსებობის გამართლება, მართლაც, მხოლოდ ამ ერთს — იმავე შვილის მოლოდინის გრძნობას შეუძლია. მას კი მოუკლავს ძილი, თვლემად უქცევია, სადღაც სულის კუნჭულში მიუყუჟია და როგორც კი ფრთების გაშლას დააპირებს, ისევ წამოიშლება ნერვული სევდა და უკუაქცევს. გემო და ფუნქცია დაკარგვია ყოველ სულიერ მოძრაობას, ყოველ საგანს. ცოცხლობს მხოლოდ მოლოდინის აზრი და მისი წარმმართველი იმედის ნაპერწკალი, სხვა არაფერი!

„დედისერთას“ ავტორმა სრულიად სხვა მხარე დაგვანახა ნაგულისხმევი სევდის. მასთან მხოლოდ დაკარგული შვილის მოლოდინის გრძნობაა მთავარი, მხოლოდ მოლოდინი. გადაწურულია იმედი შემოქმედებაში სიცოცხლის გამჟღავნებისა. საამისოდ ძალა არ შესწევს. მას ძალა თვლემისათვის და უდაბნოსავით გამომშრალი ლოდინისათვის შერჩენია. მაგრამ ეს ლოდინი უდაბნოსავით ერთფეროვანი არ არის. დედის ფანტაზია წარმოდგენებში შვილის დაბრუნების სცენებზე იხარჯება. წარმოდგენების მონაცვლეობა სიზმრიდან ცხადში, ცხადიდან სიზმარში ლექსისეული სევდის რიტმად გადადის. სურათი სურათს ენაცვლება, თითქოს ცახცახებენ ეს სურათები.

საგულისხმოა პოეტური წარმოდგენის პოტენცია, აგრეთვე კონცენტრირების ხარისხი. მხოლოდ ამ შემთხვევაშია საგრძნობი სანტიმენტალიზმის სიმძაფრე, მაგრამ სანტიმენტალიზმი ის აუცილებელი შტრიხია, რომელმაც სიცოცხლე უნდა შთაბეროს ყველაფერს, რაც აქამდე დახარჯულა, ან რაც ამის შემდეგ დაიხარჯება ლექსში.

მას ბურანში მოესმის:
— დედი გახსენ ჭიშკარი!
მე ვარ, ნუთუ არ გესმის?
გარეთ ცივა, ქრის ქარი!
შენი შვილი დაბრუნდა,
დედისერთა ვაჟიკა,
უვნებელი, მაგარი,
როგორც სალი კაჟი ქვა!
გახსენ კარი, დედა, უ!
შენ შვილს გარეთ რა უნდა?
ეს ხომ მე ვარ! არ გესმის?
შენი შვილი დაბრუნდა!

პირველი, რაც გვიპყრობს ამ სიტყვებში, დედის გულისძახილია, რომელიც ცდილობს და შეიძლება კიდეც, არყოფნის წყვდიადიდან გამოიხმოს შვილი, ცდილობს და აკოწიწებს კიდეც დროის დაწყვეტილ ძაფებს, რათა თვალწინ დაიყენოს პირმშო. პოეტის ყურადღების მაქსიმალური კონცენტრაცია მჟღავნდება ერთ დეტალშიც — დედის ოცნებაა, შვილი კაჟივით უვნებელი, მაგარი დაუბრუნდეს. უზუსტესი დეტალია სულის მოძრაობის გასახსნელად.

ამ გრძნობისმიერი ადგილის გარეშე ლექსი სურათად იქცეოდა და როგორი დიდებულიც არ უნდა ყოფილიყო ეს სურათი, მასში ამდენ სიცოცხლეს ვერ შევიგრძნობდით.

არის ნაწარმოებები, რომელთა ღირსებას კულმინაციის ხარისხი მთლიანად განსაზღვრავს. ექსპრესიულობის ბუნება ყველაზე ზუსტ აკორდს მოითხოვს. რათა სრულქმნა გვაუწყოს. „დედისერთაში“ არის ასეთი ადგილი:

დედა ენას ვერ აგებს,
სწრაფად დგება მძინარი,
სიხარულით ცახცახებს:
— შვილო, დედა შინ არი! —
კარებს აღებს ღელვილი,
იქ არვინ ჩანს მღიმარი!
ცრემლით წყვდიადს შესცქერის,
ტკბილი იყო სიზმარი!

ლექსში თითქოს კინოკადრია ჩართული — ცხოველმყოფელია მისი თვალსაჩინოებითი ძალა. ყველაფერი ჩანს — მოხუცის სხეულის ყოველი მოძრაობა და საოცარი რამ ხდება. ლექსში მოხუცი იმედგაცრუებულია, რაკი ხედავს, რომ „იქ არვინ ჩანს მღიმარი“, ხოლო მკითხველში რჩება განცდა, თითქოს გამოღებულ კარებში მართლა ჩანს მომღიმარე შვილი. ეს ორმხრივი განცდა — ლექსის გმირისა და მკითხველისა — ურთიერთს ერწყმის. ასეთი მძლავრი წინაპირობის შემდეგ სტრიქონი — „ცრემლით წყვდიადს შესცქერის“ — ერთდროულად წამოშლის და ახშობს კიდეც ჟრუანტელს მკითხველში.

დედა ბევრ ცნობილ მწერალს დაუხატავს, უამრავი ფორმით გამოუთქვამთ მისი სევდაც და სიხარულიც. ამ ფორმათა შორის სანდრო შანშიაშვილის ლექსი იშვიათი ორიგინალურობით გამოირჩევა, იშვიათი თვითმყოფადობით სუნთქავს. „ცრემლით წყვდიადს შესცქერის“ — სტრიქონის შთაბეჭდილებითი ძალა აქ ფერწერასაც თავის თავში იქცევს და განცდის სიცხოველესაც.

პოეტმა აქვე დააკონკრეტა დროის ლოკალური საზღვრები. შვილი თურმე წითლებთან იბრძოდა, დიდი ბელადის — ლენინის გზას გაჰყვა და პირველი რიგში დაეცა. ამ დაკონკრეტებული დეტალით ავტორმა ისიც გვითხრა, რომ კეთილშობილური მიზნების დასაცავად გაჩაღებულ ომში დაღუპულა ის. ვისაც ასე მოუთმენლად ელოდება მოხუცი დედა.

აქ მთავარი მაინც დედის მოლოდინის გრძნობაა:

და იმ დღიდან მოელის...
გარეთ ცივა... ჰქრის ქარი!
ზის და უცდის გულმკვდარი,
დედისერთას მთის ქალი.
მუდამ ფრთხილობს, მზად არის,
შვილს გაუღოს ჭიშკარი!

ომში დაკარგული შვილის მოლოდინის გრძნობა უკვე სრულყოფილია, მას არაფრის დამატება აღარ სჭირდება. რაც მთავარია, დედის სევდას ქართულ პოეზიაში თავისი ძეგლი უდგას!

**ჯანსუღ ღვინჯილია**

ფოტო თ. არჩვაძისა


ეროვნული ბიბლიოთეკა





ციხისძირის კოლმეურნეობის მოწინავე მეციტრუსე ეთერ რიონიძე.

●

აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელ წელს საქვეყნოდ ისახელეს თავი. ჯერ იყოდა მათ დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლისა და თამბაქოს დამზადების ვალდებულებები. სამეურნეო წლის დასასრულს კი აჭარელმა მეციტრუსეებმაც პირნათლად გაანაღდეს პარტიისა და სამშობლოსათვის მიცემული პირობა.

ხუთწლედის განმსაზღვრელ წელს აჭარის მეციტრუსეებს 28.000 ტონა მანდარინი და ფორთოხალი უნდა დაემზადებინათ. როცა ყველაფერი გულდასმით აწონ-დაწონეს, მეციტრუსეებმა ახალი ვალდებულება აიღეს: მათ მტკიცედ გადაწყვიტეს სახელმწიფოსათვის მიეყიდათ 60.000 ტონა ციტრუსი.

მზიური აჭარის მეციტრუსეებმა ეს გადაწყვეტილება პირნათლად გაანაღდეს! ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში ჩაბმულმა მეციტრუსეებმა 60.400 ტონა ციტრუსი მიჰყიდეს სახელმწიფოს.

ამ წარმატებამ მათ შესაძლებლობა მისცა მეცხრე ხუთწლედის ოთხ წელიწადში სახელმწიფოსათვის მიეყიდათ 140.300 ტონა ციტრუსი, ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 126.350 ტონის ნაცვლად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ აჭარის მშრომელებს მხურვალედ მიულოცეს მეცხრე ხუთწლიანი გეგმის ვადაზე ადრე შესრულება.

მისასალმებელ წერილში აღნიშნულია, რომ ეს შესანიშნავი გამარჯვება მიღწეულია ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელთა, დამამზადებელი ორგანიზაციების და გადამმუშავებელი მრეწველობის მუშაკთა თავდადებული შრომის, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მაღალი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შედეგად. ეს აჭარის მშრომელთა პასუხია იმ მშობლიურ ზრუნვაზე, რასაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა იჩენენ ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

მეცხრე ხუთწლედის ზღუდე დაძლეულია! აჭარელ მეციტრუსეებს მიღწეულით დაკმაყოფილება როდი სჩვევიათ. ისინი ახლა 1975 წლის უხვი მოსავლის საფუძვლის ჩაყრისათვის იბრძვიან.

---

●

ფოთის ნავსადგურში ხარაჩოები ჩამოხსნეს საზღვაო ვაგზლის ახალ სამსართულიან შენობას, რომელიც ერთდროულად მოემსახურება 350 მგზავრს.

კეთილმოწყობილი საზღვაო ვაგზლის შენობა კარგად ერწყმის ნავსადგურის საერთო ხედს. იგი კარგი საახალწლო საჩუქარი იქნება ზღვით მოგზაურობის მოყვარულთათვის.



●

ზემო აჭარის მთებში მწყობრში ჩადგა სატელევიზიო-სარელეო გადამცემი სადგური. ხულოს, შუახევისა და ქედის რაიონების მშრომელთა ოჯახებში ცისფერი ეკრანები აციმციმდა.

მიკროსარელეო-სატრანსლაციო სადგური ამუშავდა აგრეთვე დუშეთის რაიონის სოფელ ქვეშეთში. მთიელმა მშრომელებმა საკუთარ ოჯახებში პირველად ნახეს და მოუსმინეს საახალწლო გადაცემებს.

●

ქუთაისელები სათუთად ინახავენ იმ ადამიანების ხსოვნას, რომლებმაც ხალხის ბედნიერებისა და თავისუფლებისათვის ბრძოლას შესწირეს თავი.

ამას წინათ ქუთაისში, ნინოშვილის ქუჩაზე, ძმათა სასაფლაოს სკვერში უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის მებრძოლთა საფლავზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა დიდების ობელისკი.





●

მიმღებ პუნქტებში ყურძნის მიღება, აწონვა, სინჯის აღება, შაქრიანობის განსაზღვრა და სხვა ოპერაციები აქამდე ძირითადად ხელით წარმოებდა.

გორელმა სპეციალისტებმა შეიმუშავეს ყურძნის მიღების ავტომატიზირებული სისტემა, რომელიც შესაძლებელს ხდის რამდენიმე წუთში განისაზღვროს შაქრიანობა და ორჯერ გაზარდოს მიმღები პუნქტების გამტარუნარიანობა.

ასეთი სისტემის დანერგვა 70 ათას მანეთამდე წლიურ ეკონომიას იძლევა.

●

ადიგენის რაიონის სოფელ არალსა და მის მიდამოებში გეოლოგებმა აღმოაჩინეს ბენთონიტის თიხის მდიდარი საბადოები, რომელთა მარაგი ჩვენი ქვეყნის ბენთონიტის თიხის ბალანსის ნახევარზე მეტია.

აღნიშნული საბადოები გაცილებით ადვილი დასამუშავებელია საქართველოში ცნობილ ასკანისა და გუმბრინის საბადოებთან შედარებით.

●

ახალი წლის წინ კარგი საჩუქარი მიიღეს სამტრედიელებმა. სახელმწიფო კომისიამ ფრიადზე შეფასებით ჩაიბარა და საექსპლოატაციოდ გადასცა ლუდის ქარხანა, რომელიც უახლესი ტექნიკით არის აღჭურვილი.

ქარხანა სასიამოვნო, გამაგრილებელი სასმელით დააკმაყოფილებს არა მარტო სამტრედიის, არამედ მეზობელი აბაშის, გეგეჭკორისა და წულუკიძის რაიონების მოთხოვნილებასაც.



●

კურორტ წყალტუბოში ლამაზ, მრავალსართულიან შენობებს ამას წინათ კიდევ ერთი მოხდენილი ნაგებობა ამოუდგა მხარში.

კურორტში გაიხსნა კეთილმოწყობილი „მოტოოტელი“, რომელიც საბჭოთა და უცხოელ ტურისტებს მოემსახურება.




ეროვნული
ბიბლიოთეკა



# თბილისის ხედები

ფოტო თ. არჩვაძისა







ელექტრონული ბიბლიოთეკა



კონსტანტინე გამსახურდია.



შალვა დადიანი.



ანდრია ბალანჩივაძე



ბელა ახმადულინა.

# დავით დავიდოვი

ჩვენი საზოგადოებრიობა კარგად იცნობს
ფოტოხელოვანის დავით დავიდოვის შემოქ
მედებას. იგი მრავალჯერ წარსდგა რესპუბ
ლიკურ, საკავშირო და მსოფლიოს სხვადასხვა
ქვეყნებში გამართულ გამოფენებზე (ჩეხოს
ლოვაკია, პოლონეთი, აშშ, კანადა საფრან
გეთი, შვეიცარია, ავსტრალია და სხვ.) და
ყველგან აღიარება მოიპოვა, როგორც თანა
მედროვე ფოტოხელოვნების ჭეშმარიტმა ოს
ტატმა

გამომცემლობა „მერანის“ საგამოფენო
დარბაზში ახლახან გამართულმა მისმა მეო
რე პერსონალურმა გამოფენამ (პირველი 1961
წელს მოეწყო), ერთხელ კიდევ გაახარა ფო
ტოხელოვნების მოყვარულები

გთავაზობთ დ დავიდოვის რამდენიმე ნა
მუშევარს.

# ქუთაისელი ოსტატები



მანქანის ბორბლების ქვეშ კილომეტრები იკეცება. სწრაფად გარბიან ჭალები, გზატკეცილის ორივე მხარეს ჩამწკრივებული არყისა და ფიჭვის ხეები... მანქანები წყებად მიჰყვებიან ერთიმეორეს. ცისფერმა „ვოლგამ" გვერდი ვერ აუარა ისარივით გაჭრილ სატვირთო ავტომანქანას. „ვოლგაში" მძღოლის გვერდით პროფესორი იჯდა. მისი ყურადღება წინ მიმავალმა სატვირთო მანქანა „კოლხიდამ" მიიპყრო.

შლაგბაუმმა წუთით შეაჩერა მოძრაობა. პროფესორმა არ დააყოვნა, მანქანიდან გადმოვიდა და სატვირთო მანქანის მძღოლისკენ გაემართა.

— რომელი ქარხნისაა? — ჰკითხა პროფესორმა და ყურადღებით დაათვალიერა მოხდენილი სატვირთო ავტომანქანა.

— ქუთაისის!..

საუბარი რამდენიმე წუთს გაგრძელდა. პროფესორისათვის ახლობელი იყო საქართველო და ქუთაისი. ათი წელი გაატარა მან ამ ქალაქში.

... ქუთაისში ერთი ქართველი ოჯახის მეზობლად ცხოვრობდა. ამ ოჯახში ჰყავდათ პატარა ბიჭუნა. რა გვარი იყო? ჯლამაძე, იაშა ჯლამაძე! ახლა კი „პრავდაში" წაიკითხა, სახელმოხვეჭილი ავტომშენებელი გამხდარა, — ამოტივტივდა პროფესორის მეხსიერებაში.

მანქანები დაიძრნენ. პროფესორი დიდხანს უყურებდა წინ მიმავალ ავტომანქანას. ფიქრობდა იმ გრანდიოზულ ცვლილებებსა და ზრდაზე, რომელიც ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ხდება.

* * *

იაშა ჯლამაძემ სახელოსნო სასწავლებელი დაამთავრა და მეშვიდე თანრიგის ზეინკლის პროფესიით მივიდა ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში.

იაშამ მუშაობა საიარაღო-სატვირთო საამქროში დაიწყო. პირველ ხანებში მუშაობა უძნელდებოდა, საქმე არ გამოსდიოდა, მაგრამ ფარ-ხმალი არასოდეს დაუყრია.

ავტომშენებელმა ჭაბუკმა შეუპოვრობით, მოთმინებით და საქმისადმი ინტერესით მართლაც გადალახა ყველა ზღუდე. მან ბრწყინვალედ შეძლო რკინის მოქცევა საკუთარი ნების ქვეშ. იაშა უკვე აღარ იყო ის მორცხვი, მოუხერხებელი ყმაწვილი, როცა პირველი ხელფასის აღების შემდეგ დიდხანს იდგა საპარიკმახეროს წინ და პაწკა კორჩაგინივით ვერ ბედავდა შიგ შესვლას.

გავიდა დრო. იაშას მშობლიური ქალაქი უფრო აღორძინდა, აყვავდა, გაძლიერდა. ნახევარი საუკუნის წინ თუ აქ მხოლოდ თითო-ოროლა კუსტარული საწარმო იყო, რომლებიც ლიმონათს და უმნიშვნელო სახის ნაწარმს უშვებდნენ, ახლა ქუთაისში ოვაასი სახის პროდუქციას აწარმოებენ.

წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდა, პირველ რიგში, მძიმე მრეწველობის განვითარებას ნიშნავს. საავტომობილო გიგანტის გარდა, ქუთაისში ელექტრომექანიკური, სატრაქტორო ქარხნების აგება მკაფიო მაგალითია იმისა, თუ როგორ ხორციელდება ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური პარტიის მიერ დასახული გეზი მსხვილი მანქანათმშენებელი მრეწველობის განვითარების შესახებ. ოქტომბრის რევოლუციამდე ქუთაისში ჩანასახიც არ იყო მძიმე მრეწველობის, ამჟამად იგი რესპუბლიკის მეორე სამრეწველო ცენტრია. მარტო იაშა ჯლამაძის საამქრო ათჯერ მეტ პროდუქციას იძლევა, ვიდრე 1913 წელს ქალაქის მთელი მრეწველობა იძლეოდა.

* * *

... ქარხნის კონვეიერიდან განუწყვეტლივ გამოდიან „კოლხიდის" ტიპის მძლავრი ავტომანქანები. თითოეული ავტომანქანა დაახლოებით სამი ათასი დეტალისგან შედგება. იაშას სამართლიანად ემაყება, რომ იგი ერთ-ერთი ყველაზე რთული სამარჯვების გამოშვებაზე მუშაობს. მხოლოდ ფიზიკური ძალა ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული სამუშაოს შესრულებას, თუ გონებაც არ ჩაერია შრომის პროცესში. ოცი წელია იაშას „უნივერსალურ სპეციალისტს" ეძახიან. მას ყოველგვარი სამარჯვის გამოშვება ეხერხება. არ ყოფილა შემთხვევა, მის მიერ დამზადებული პროდუქცია უხარისხო ყოფილიყოს. იაშას ქარხანაში ერთ-ერთ პირველს გამოუცხადეს სრული ნდობა — კომუნისტური შრომის ბრიგადას, რომელსაც იაშა ჯლამაძე ხელმძღვანელობს, არ აკონტროლებენ!

უმაღლესი თანრიგის ზეინკალმა ვადამდე ადრე შეასრულა ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის დავალება. იაშამ ნოვატორული წინადადებებით სამშობლოს 70 ათას მანეთზე მეტი ეკონომია მისცა.

იაშა არასოდეს არ მიიწერს საერთო წარმატებებს. მისი პირველი სიტყვაა — ყველა მიღწევა მთელ კოლექტივს ეკუთვნისო. იაშას აღსაზრდელები: ვლადიმერ კიკნაძე, გურამ სახვაძე, ვანო სარიშვილი, ვლადიმერ გამეზარდაშვილი, სოსო დვალიშვილი და სხვები გულწრფელად აღიარებენ იმ დიდ მზრუნველობას, რომელსაც იაშა მათდამი იჩენს. ოსტატმა შეგირდებს თავიდანვე ჩაუნერგა საქმისადმი სიყვარული და დაკისრებული მოვალეობისადმი ნამდვილი მუშური სინდისით მიდგომა.

იაშა ჯლამაძის საქმიანობა კარგა ხანია გასცდა საწარმოს სფეროს და ფართო ასპარეზზე გავიდა.

მოწინავე ზეინკალმა დიდი წვლილი შეიტანა ავტოქარხნის ტერიტორიაზე 50 საწოლიანი სასტუმროს აგების საქმეში. მისივე ხელშეწყობით გაიხსნა კეთილმოწყობილი საბავშვო ბიბლიოთეკა. იაშა არის ყველგან, სადაც საჭიროა მისი ენერგია, აზრი. ავტოქარხანა მისი მეორე ოჯახია, ქარხნის კოლექტივის სიხარული, მისი სიხარულია!

**გივი მეფისაშვილი**

# კოლმეურნეები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრა წლის წინ სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობას სათავეში ჩაუდგა სოფლის მკვიდრი გიორგი გელაშვილი, რომელიც მანამდე კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსად მუშაობდა.

სოფელში 100-ზე მეტი კომუნისტი იყო და ყველა მაშინვე მხარში ამოუდგა ახალ თავმჯდომარეს. მთელი აქტივი, კოლმეურნეობის თითოეული წევრი დაირაზმა ჩამორჩენის დასაძლევად. გიორგი გელაშვილს ბევრი ჩანაფიქრი ჰქონდა და ყოველ მის წინადადებას, მის ყოველ წამოწყებას მხარის აბმა, დაცვა და საერთო ძალით განხორციელება სჭირდებოდა.

კოლმეურნეობა თანდათან აღორძინდა, ეკონომიურად მომძლავრდა, შრომას ფასი და ხალისი დაედო.

უკანასკნელ წლებში ბოდბისხევი ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთ მოწინავე და კეთილმოწყობილ სოფლად გადაიქცა. აქ 600-ზე მეტმა კოლმეურნემ აიშენა ახალი სახლი. სოფლის ცენტრში კოლმეურნეობის თანხებით აიგო საშუალო სკოლის სამსართულიანი შენობა, გაიჭრა ქუჩები, სოფელი დაამშვენა ახალმა მაღაზიებმა, სასადილომ, კლუბმა, აფთიაქმა, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებმა, გაიხსნა საავადმყოფო, ამუშავდა 500 ნომრიანი ავტომატური სატელეფონო სადგური...

ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წელი სასახელო მაჩვენებლებით დაამთავრეს ბოდბისხეველმა მშრომელებმა. მათ გეგმით გათვალისწინებული 5.600 ტონა მარცვლეულის ნაცვლად აწარმოეს 9.200 ტონა მარცვლეული, ყურძენი გეგმით გათვალისწინებული 680 ტონის ნაცვლად — 1.441 ტონა. გეგმის ზევით სახელმწიფოს მიეყიდა 31 ცენტნერი აბრეშუმის პარკი. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გეგმები.

გამრჯე, შრომაში ნაცადი კოლმეურნეები, ეჭვს გარეშეა, არც ახლა შეირცხვენენ თავს. 1975 წელი მათი ახალი მიღწევების, ახალი გამარჯვებების წელი იქნება!

ჟურნალის მომდევნო გვერდებზე ვაქვეყნებთ ფოტომოთხრობას, რომელიც ბოდბისხეველთა შრომასა და ცხოვრებას ასახავს.

# მოდანისხევი

ფოტო
ვიქტორ
ჯეირანელისა



თავანკარა ღვინო.



მოდანისხეველები მიმღებ პუნქტს ყოველდღიურად 1 ტონა რძეს აბარებენ.



კოლმეურნეობის ცხვრის ფარა.

ფეხბედნიერი იყოს 1975 წელი!





ნოდარ ზურაბიშვილი სამხედრო სამსახურიდან დაბრუნდა.





ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის თავკაცი გიორგი გელაშვილი (მარჯვნივ) და მთავარი აგრონომი ირაკლი ნაცვლიშვილი

უხვ მოსავალს ახლა ეყრება საფუძველი.





ბოდბისხეველებს კამეჩების მომრავლება ძველთაგანვე მოსდგამთ.

ბაბო მარიამი ახალი ოჯახის შექმნას ულოცავს გია და ლიანა ნაცვლიშვილებს.

ბოდბისხეველი ხანდაზმული ცოლქმარი ანთიმოზ და ელენე ზურაბიშვილები.



სოფლის ფოსტალიონი.



კოლმეურნეობის კერამიკული საამქრო.





თვალწინ მიდგას ერთი მისი ფოტოგრაფიული სურათი, საზოგადოდ საუკეთესო ფოტოგრაფიული სურათი, რომელიც ოდესმე მინახავს. ილია, თუ არ ვცდები, ახლანდელი კომინტერნის, ყოფილი სასახლის ქუჩაზე დგას და ვიღაცას უხმობს მარცხენა ხელის მაჩვენებელი თითის ოდნავ შესამჩნევი მოძრაობით. მეეტლეს, მეხილეს თუ გზად მიმავალ მეგობარს? მე მეჩვენება, თითქოს ის ჩვენს თაობას უხმობდეს და ჩვენც მას ვუახლოვდებით. ამიტომ მისი უმოძრაო ფიგურა თითქოს თანდათან იზრდება ჩვენი დედაქალაქის ქვების ფონზე და ჩვენ ვგრძნობთ, რომ ჩვენს გარდასულ წინაპართა შორის, ჩვენთან ბევრი არ დგას ისე ახლოს, როგორც ეს ჯმუხი ადამიანი.

გერონტი ქიქოძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ილია ჭავჭავაძის საახალწლო მილოცვა

1886 წლის პირველი იანვრიდან ჟურნალი „ივერია“ ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდა. მისმა რედაქტორ-გამომცემელმა ილია ჭავჭავაძემ „ივერიის“ მოწინავე წერილით მიულოცა ქართველ ხალხს ახალი წელი და გაზეთ „ივერიის“ პირველი ნომრის გამოსვლა. აი რა ღრმააზროვნად წერდა ილია თავისი გაზეთის მოწინავე წერილში, გაზეთის დანიშნულებაზე:

„მოგილოცავთ ამ ახალის წლის პირველს დღეს — პირველს ნომერს ახალის გაზეთისას. მოგილოცავთ თქვენ, და ჩვენს თავსკი მაშინ მივულოცავთ, როცა ამ წლის დასასრულს ჩვენი გაზეთი თავის ეკლით სავსე მანძილს გაივლის ისე, რომ უკეთესის ქართველის იმედს და მოლოდინს არ უმტყუნოს, არ ჩამოურჩეს“. შემდეგ მწერალი განაგრძობს: „ჟურნალ-გაზეთობა ერთ-გვარი ნაწილია ლიტერატურისა. ამის გამო თავის საკუთარის კუთვნილების გარდა უნდა ჰქონდეს ზოგადი კუთვნილებაც ლიტერატურისა. ზოგადი კუთვნილება ჭეშმარიტის ლიტერატურისა და არა იმ ცრუპენტელობისა, რომელიც ჩვენში ლიტერატურის სახელით დაიარება: ჭეშმარიტი ლიტერატურა ყველგან და ყოველს შემთხვევაში მართებულობის, ზრდილობის, ადამიანის ღირსებისა ფარიც არის და ხმალიცა“.

1885 წლის 30 დეკემბერს ილია ჭავჭავაძემ გაზეთ „ივერიის“ ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთებასთან დაკავშირებით აღფრთოვანებული ბარათი მისწერა რაფიელ ერისთავს:

„გთხოვთ მეწვიოთ ხვალ საღამოს, სამშაბათს, ერთად მივეგებოთ ახალ წელიწადს და „ივერიის“ პირველ ნომერს“.

ოცი წლის განმავლობაში ექიმი წამლობდა 20.000 ავადმყოფს, 20 მათგანი მოარჩინა. გამოიცანით: რამდენი გაისტუმრა ექიმმა წიაღსა შინა აბრამისასა, ისაკისასა და იაკობისასა.

* * *

ყომარბაზს ათი წლით დაპატიმრება მიუსაჯეს, როდესაც განაჩენი მოისმინა, მოსამართლეს უთხრა:

— ბატონო მოსამართლევ, ქაღალდი ვითამაშოთ და თუ წავაგებ, ერთი ორად გადამხდეს სასჯელი, ხოლო თუ მოვიგე ქვითნი ვიყვეთო.

* * *

ერთხელ კლოვის ჰიგი და ვიქტორ ჰიუგო დაპატიჟებულნი იყვნენ ქალბატონ ლოკრუასთან, როცა დიასახლისმა სადილად მიიპატიჟა და სთხოვა, დაბრძანდითო, ვიქტორ ჰიუგო დაჯდა, კლოვის ჰიგი გვერდით მოისვა და სთქვა:

— ქ-ნო, დღეს თქვენთან ორი პოეტია სადილადო.

კლოვის ჰიგიმ მორცხვად შენიშნა დიასახლისს:

— ორი? არა, ბატონო, ორი პოეტი კი არა, ერთიაო მხოლოდ.

ვიქტორ ჰიუგომ მაშინ ღიმილით სთქვა:

— უკაცრავად, ბატონო, მე-კი მეგონა, რომ მეც დამერქმეოდა პოეტის სახელიო.

* * *

უნივერსიტეტის დარბაზში ახლად კურსდამთავრებული ექიმები შეკრებილან და დიპლომს ელიან. ოთახში ძლიერ ცხელა, პაპიროსის ბოლი ადამიანს სულს უხუთავს. უცბად ერთ ახალგაზრდა ექიმს გული შეუწუხდა.

— ექიმი! ჩქარა ექიმი! — ყვირიან შეშინებული ამხანაგები.

* * *

უნივერსიტეტში პროფესორი გინეკოლოგი ეკითხება თავისი საგნის ერთ სტუდენტს.

სტუდენტმა ამ საგნისა არაფერი იცის.

— ერთი ეს მიბრძანეთ, — ჰკითხა დაცინვით პროფესორმა სტუდენტს, — დიპლომს რომ მოგცემენ, სად აპირებ სამსახურს?

— ამა და ამ დივიზიის ერთ რაზმშიო, — უპასუხა სტუდენტმა.

— მადლობა ღმერთს, — სთქვა პროფესორმა, რომ ჯარისკაცთა შორის ფეხმძიმე არავის უნახავსო.

* * *

ერთმა კაცმა თავის ამხანაგს რაღაც საიდუმლო ამბავი უთხრა და თან დასძინა: გეთაყვა ეს ამბავი არავის გაუმჟღავნოვო.

— ნუ გეშინია, მეც შენსავით კარგად ვიცი საიდუმლოს შენახვაო.

* * *

ავადმყოფი: გამარჯობათ, ბატონო ექიმო!

ექიმი: ამას რას ვხედავ? ცოცხალი ხართ კიდევ და ფეხზე დადიხართ!

ავადმყოფი: მადლობა ღმერთს, ძალიან კარგად ვარ.

ექიმი: სასწაულია სწორედ. სასწაული. ერთი მიამბეთ, როგორ მოხდა ეს?

ავადმყოფი: სრულიად უბრალოდ: როცა თქვენ თავი დამანებეთ და სთქვით, რომ შენი მორჩენა შეუძლებელიაო, მეც ავიღე თქვენი წამლები და სულ გადავყარე. წმინდა წყლის სმას მივყევი და კარგა ლამაზად ოფლი ვიდინე. სამი დღის შემდეგ სრულიად მოვრჩი და აი, როგორც მხედავთ, კარგად ვარ.

ექიმი: ჰმ, ჰმ! რასაკვირველია, ეს შესაძლებელია, მაგრამ სამკურნალო მეცნიერების მხრივ-კი თქვენ უკვე მკვდარი ხართ და ცოცხლებში თქვენი ჩათვლა შეუძლებელია.

* * *

ერთ ვექილსა ჰკითხეს:

— ტყუილ საქმეებს რათა კისრულობთ სასამართლოში საწარმოებლად?

— რა ვქნა, — უპასუხა ვექილმა, — მართალი საქმეც ბევრი ვიკისრე, წავაგე და ახლა აღარ ვიცი, როგორ საქმეს მოვკიდო ხელიო.



გალაკტიონ ტაბიძე და გიორგი ქუჩიშვილი 1916 წ.

# შეხვედრა პოლიციელთან

გალაკტიონ ტაბიძე და გიორგი ქუჩიშვილი ქუთაისის ბაღში განმარტოებით ისხდნენ და საუბრობდნენ. გალაკტიონმა პოლიციელი შენიშნა.

— გიორგი, შეხედე, პოლიციელი მოდის!

— მართლა აქეთ მოდის ეს იდიოტი! ადექი, წავიდეთ! — გიორგიმ წამოდგომა დააპირა. გალაკტიონმა გააჩერა.

— ახლა წასვლა უხერხულია, გიორგი, იტყვის ჩემი შეეშინდათო. ისე კარგი მოლაპარაკეა, გავერთობით...

— თუ შენი მეგობარია, დარჩი და ემუსაიფე, მე მაგ იდიოტთან არ დავჯდები. არ გეჯავრება ეგ ოხერი, რამდენ უდანაშაულო ხალხს იჭერს!

— ჩუმად, გიორგი, ქართული იცის...

ამასობაში ტიკივით გაბერილი პოლიციელი გალაკტიონის გვერდით ხვნეშით დაეშვა. ეტყობოდა, ნასვამი იყო.

— სიცხეა! — თქვა პოლიციელმა ქართულად.

— დიახ, მაგარი სიცხეა! — დაეთანხმა გალაკტიონი და გიორგის გაუღიმა.

— ნახალი! — წამოისროლა პოლიციელმა და სამოვარივით მოლაპლაპე თავზე ჭრელი ცხვირსახოცი გადაისვა, — იმას ვასცავლი ქჭუა!..

— ვის, ბატონო? — ჰკითხა გალაკტიონმა.

— იმას... იმას პოლიციას არ მეშინია, რომ ტკვა... არ გეშინია პოლიციას?! — მიუბრუნდა პოლიციელი გალაკტიონს.

— რას ბრძანებთ, პოლიციისა ვის არ ეშინია. მე ისეთი მშიშარა ვარ, პატარა ფინიასიც კი მეშინია, თორემ თქვენისთანა...

— ოო, კარგია, კარგი! მოიცა, მოიცა, გალუბჩიკ, პინია ჩტო ტაკოე?

— ფინია პატარა ძაღლია... მალენკაია საბაჩკა!

პოლიციელს სიცილი აუტყდა.

— პატარა მურამ შეგაშინა? სმეშნო, ეი, ბოგუ, სმეშნო! — პოლიციელმა სიცილით გული რომ იჯერა, გალაკტიონს ჰკითხა:

— შენ ამხანაგმა, რატომ არ იცინის? რა გვარია?

— ქუჩიშვილი!

პოლიციელი დაფიქრდა, მერე წარბები შეყარა:

— ეტო ჩტო პოლუჩაეტსია, სინ ულიცი, არა?

— დიახ, ეს ფსევდონიმია... პოეტია! — მიუგო გალაკტიონმა.

— ლექსები წერს? — იკითხა პოლიციელმა.

— დიახ, ლექსებს წერს! — დაუდასტურა გალაკტიონმა.

პოლიციელმა გიორგის შეხედა და თავი გააქნია:

— ოი, ოი, მოლოდოი ჩელოვეკ, სირცხვილი, სირცხვილი, ნეუჟელი ბოლეე პოდხოდიაშჩეიუ რაბოტუ ნე ნაშლი, ჩემ ბუმაგუ მარაც?..

— ლექსების წერა რა პატიოსანი კაცის საქმეა! — დაუდასტურა გალაკტიონმაც.

პოლიციელს გაუხარდა.

— მარტალია, ლექსები ბუნტოვშიკმა წერს... ნე ნადო პისაც!..

პოლიციელი სკამის ზურგს მიეყრდნო და ჩათვლიმა.

გიორგიმ გალაკტიონს ხელი დაავლო და წამოაყენა, ამ დროს პოლიციელმა თვალები დააჭყიტა.

— აა, ცადი?!

— დიახ, ბატონო, გვეჩქარება, თორემ თქვენთან ჯდომას რა ჯობს?! — უპასუხა გალაკტიონმა.

— ცადი, ცადი, შენ კარგი ბიჩი, ლექსები არ წერ!

— როგორ გეკადრებათ, ბატონო...

— ვიცი, ვიცი, ამას უთხარი, არ დაცერო ლექსი!

— აწი როგორ გაბედავს ლექსის წერას, რა საჭიროა?!.

პოლიციელს თვალები გაუბრწყინდა:

— ჰო, სცორია! ნა ჩორტა ნუჟნო! სტიხი ტოჟე სამოე ჩტო პროკლამაცია! — დაასკვნა პოლიციელმა.

გალაკტიონი და გიორგი წავიდნენ. პოლიციელმა თვალი გააყოლა მათ. მერე გემრიელად დაამთქნარა და სახეზე ისეთი კმაყოფილება გამოეხატა. თითქოს მეფის ხელისუფლების გასამაგრებლად დიდი ღონისძიება ჩაეტარებინოს.

გიგლა ბახტაძე

# ოდერი და ტანა

(მცირე მოგონება)

ომი ახალი დამთავრებული იყო.

სოფლად თუ ქალაქად, ბარად თუ მთაში, ბრუნდებოდნენ ნაომარი ვაჟკაცები, არ ილეოდა სიხარულისა და აღტაცების წუთები, ხალხი ლოცავდა მტერზე გამარჯვებულთ, არ ივიწყებდნენ ომში დაცემულთ.

ეს დრო იყო, როცა გორში ხმა დაირხა, გიორგი ლეონიძე სტუმრად მოდისო.

გოგლა არა მხოლოდ დიდი პოეტი და პოპულარული მოქალაქე იყო, ის შინაური კაციც იყო ყველა ქართველისათვის; არ არსებობს საქართველოში ისეთი კუთხე, სადაც მას ახლობლები არ ჰყოლოდეს. გორში ის ყველა სოფლის სანუკვარი სტუმარი იყო. ყველაზე მეტად კი ყელქცეულში, ნიქოზსა და ატენში მიუხაროდა.

ამჯერად ხიდისთავში გაიშალა სუფრა.

მოილხინა გოგლამ, მისი ბუბუნა ხმა სიხალისეს ჰფენდა მიდამოს, ეშხში შევიდა პურობა და ლხინი, სადღეგრძელოს სადღეგრძელო მოსდევდა. მერედა, გოგლას ნათქვამ სადღეგრძელოს ხომ სულ სხვა ლაზათი და იერი ჰქონდა!

დღე მიიწურა, სუფრიდან წამოდგომას არავინ აპირებდა, არადა, სტუმრებს დიდი გზა ჰქონდათ გასავლელი. მასპინძელი შეიშმუშნა. გოგლამ შენიშნა ეს და ჰკითხა, — ღვინო ხომ არ შემოგელიაო.

— როგორ გეკადრებათ, ღვინის მეტი რა გვაქვს, მაგრამ... — მასპინძელმა სათქმელი არ დაამთავრა.

— მაშ რა გადარდებს, — ჩაიცინა გოგლამ და მორიგი, ძარღვიანი სადღეგრძელო წამოიწყო.

მასპინძელი ისევ აწრიალდა.

— მოღრუბლულა, იწვიმებს, ტანამ [illegible] იცის, გასვლა გაჭირდება...

— ოდნავ გასაგონად ამბობდა ის.

გოგლამ წაუყრუა.

კაცის სურვილი და მომდგარი სიტყვა ზოგჯერ მოხეთქილ მდინარეს ჰგავს, მასპინძელს უცხო სტუმართა რიდი ჰქონდა, ღვინო არ მოერიოთო, უსიამოვნებას არ გადაეყარონ გზაშიო, გოგლას უფრთხილდებოდა და დროზე უნდოდა თბილისისაკენ გზაზე დაეყენებინა.

მასპინძლის რიგი ხომ ის არის, რომ წამსვლელი დროულად გაისტუმროს და დამრჩენი გვარიანად მოასვენოს. გოგლა და მისი თანმხლებნი კი დარჩენას არ აპირებდნენ.

— წვიმას აპირებს, ტანა ადიდდება, გასვლა გაჭირდება, — კიდევ სთქვა მორიდებით მასპინძელმა.

ახლა კი შემობრუნდა გოგლა და ყველას გასაგონად დაიბუბუნა:

— რა დაგემართა, კაცო, ოდერი გადავლახეთ და ტანათი გვაშინებ?!

ყველამ ხმამაღლა გაიცინა. გული მიეცა მასპინძელსაც. გოგლამ კი ამაყად მოავლო თვალი იქ მსხდომთ და მორიგი სადღეგრძელო თქვა, მერე სიმღერაც წამოიწყო. მაგრამ, როცა უკვე მასპინძლები ემძლებოდნენ, კიდევ ცოტა ხანს მოიცადეთო, გოგლამ ოჯახი დალოცა და სუფრაც აიშალა.

ავთანდილ ჩხეიძე

გიორგი ლეონიძე თავის სოფელში 1966 წ.



# პოეტების ცხოვრებიდან

გამოჩენილ ქართველ პოეტს **ალეკო შენგელიას** სამოცი წელი შეუსრულდა. ოთხი ათეული წელია, რაც ნიჭიერი შემოქმედი დაუღალავად ემსახურება მშობელ ხალხს და თანამედროვე ქართულ საბჭოთა პოეზიას. ჟურნალ „დროშის“ რედაქცია სულითა და გულით ულოცავს უახლოეს თანამშრომელს ამ ღირსშესანიშნავ დღეს და უსურვებს მრავალ შემოქმედებით გამარჯვებასა და წარმატებას, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას პირად ცხოვრებაში.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლაც კარგად მახსოვს, ამ ორმოციოდე წლის წინათ როგორი მოკრძალებით მოვიდა ალეკო შენგელია ქართულ მწერლობაში და „გაუბედავად“ დაიწყო თავისი პირველი ნაბიჯები. იგი არ ჰგავდა მათ, ვინც სამწერლო გზას ნაძალადევი ხმაურითა და გაზვიადებული პრეტენზიებით იწყებენ და შემდეგ სულ მალე ჰკარგავენ „ხმას“. ახალგაზრდა პოეტის ამ მოკრძალებაში პასუხისმგებლობის გრძნობა უფრო მოჩანდა, ვიდრე თავის შინაგან შესაძლებლობებში დაეჭვება. მართალია, მის პირველ ლექსებს სინედლის კვალი დაჰკრავდა, მაგრამ განცდის უშუალობა და გულწრფელობა არ აკლდა. და აი, სწორედ ეს უშუალობა და გულწრფელობა გახდა პოეტის შემოქმედების ნიშან-თვისება, მისი ლირიკული გმირის ხასიათის განმსაზღვრელი. გადიოდა დრო და ახალგაზრდა პოეტი, ცხოვრების გამოცდილებასთან ერთად, ოსტატობასაც იძენდა და შემოქმედებითი გაბედულებაც ემატებოდა, თამამად ეტანებოდა რთულსა და თავისთავად თემებს.

პოეტის შემოქმედების თავისებურებას ღრმად რომ ჩავწვდეთ, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი შინაგანად დაკავშირებული იყო ხალხთან და კარგად ესმოდა დროის ძახილი, სამშობლოს სასიცოცხლო ინტერესები, ის, რაც საჭირო და აქტუალური იყო მისი ქვეყნისათვის. სწორად ამბობს პოეტი „ამ დღის ლექსი ვარ, ამ დღის ძახილიო“. უფრო უკეთესად არც გამოითქმის პოეტის „მე“.

პოეტის მუზის შთამაგონებელი და აღმაფრთოვანებელი განახლებული სამშობლოს დაუშრეტელი სიკეთე და ამ სიკეთის შემოქმედი საბჭოთა ადამიანია. პოეტს სამშობლოსა და ადამიანის სიყვარულით სავსე გული ამაყად დააქვს და მკითხველსაც სწორედ ამ თავის ბედნიერ განცდას უზიარებს, მოუწოდებს უყვარდეს სამშობლო, ამაყობდეს მისი ვაჟკაცური წარსულითა და დღევანდელი დღის სილამაზით, ეტრფოდეს და აშენებდეს უკეთეს მომავალს.

ალეკო შენგელიას ლირიკა ყურადღებას იქცევს ნათელი მიზანსწრაფვით, მოქალაქეობრივი აღმაფრენით, იგი ხარკს არ უხდის „უკვდავებას“ რაღაც „განსაკუთრებული“ თემების შერჩევითა და მოდური გატაცებით, ხალხის „ყოველდღიური“ ცხოვრებიდან იღებს თემებს და შიგ დაუხარჯავ ადამიანურ განცდებს აქსოვს. თავმომწონეობისათვის როდი ამბობს „მოვალ, მოვდივარ, ცავ და მიწაო, პირველ სიმღერას სალამი ჩემი, უპირველესი სხვა რა ვიწამო, თქვენი ვიწამე შუქიც და ცრემლიც“. პოეტის სტრიქონები გულწრფელია და მისი ეს გულწრფელობა მკითხველსაც პატრიოტული განცდით მუხტავს.

ჩემი ლამაზი ქვეყანა,
ჩემი ზვრები და ყანები,
იგი მხიბლავს და მაცოცხლებს,
მხოლოდ მას ვეთაყვანები.

# 60 ალეკო შენგელია

ჩემი ლამაზი ქვეყანა,
იაგუნდი და ლალები,
მისთვის ცოცხალ ვარ,
სიკვდილსაც
მისთვის არ დავინანებდი.
ჩემი ლამაზი ქვეყანა,
წმინდა მომავლის აკვანი,
სიცოცხლე, როგორც ლეგენდა,
სიცოცხლე, როგორც ზღაპარი.

ალეკო შენგელიას შემოქმედებაში პატრიოტულმა გზნებამ მეტი სიმძაფრე შეიძინა და უფრო მასშტაბური გახდა დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში, როცა სამშობლოს დასაცავად ერთსულოვნად აღსდგა საბჭოთა ხალხი და მტერს სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეება. სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალული მისი იმდროინდელი ლექსები ხელს უწყობდნენ სულიერი მხნეობისა და შემართების პათოსის დამკვიდრებას. პოეტი სიამაყით მიაპყრობდა თვალს საქართველოს სახელოვან წარსულს და ცდილობდა წინაპართა გმირობა თანამედროვეთა ვაჟკაცობის მასაზრდოებელ წყაროდ ექცია.

განა ცოტა გვინახავს
მტრის ჯარების თარეში? —
სამამულო ბრძოლაში
ბრძოლის ჟინით ვიწოდით,
ლამაზ საქართველოში,
ვაჟკაცობის მხარეში,
დამარცხება უნდოდათ,
გამარჯვება ვიცოდით!

პოეტის ლექსებში თქვენ შეიცნობთ საბჭოთა მეომრების მართალ განცდებსა და სულისკვეთებას, ისინი მამაცი წინაპრებივით სიმღერით მიდიან ფრონტზე, შინ დარჩენილ დედებსა და დებს უბარებენ — სიბრალული ლაჩართა ხვედრია, ჩვენ სიყვარულში გაგვიხსენეთ, თვალზე ცრემლი არ გაიკაროთო.

ჰეი, ჩვენო დედებო, —
მშობლიურო ქალებო, —
ქართველებმა ლაშქრობა
სიმღერებით იცოდნენ!
მივალთ, დედა-სამშობლო
მტერს რომ არ დავანებოთ!
სიყვარულში გვახსენეთ, —
ცრემლით ნუ შეგვიცოდებთ.

სამშობლოსათვის ბრძოლაში დაცემულ ვაჟკაცს დავიწყება არ უწერია. მისი სახელი თაობებს გადაეცემა და უკვდავებას შეენივთება.

გაზაფხული მოვა ლურჯად
აფეთქილი
და დაგაფენს ყაყაჩოთა
თაიგულებს,
თვით სიცოცხლე ასე კარგი, ასე
ტკბილი
უკვდავების გამარჯვებად
დაგიგულებს...
ფიჭვნარები ისევ გაიშრიალებენ...
შენი შუქით აენთება შავი ღამე, —
იტყვიან, მტერს ბრძოლა ვით არ
მიანებე
და შენს სახელს აბჯარივით
აისხამენ.

პოეტის ეს სტრიქონები მაშინ მიმზიდველად და ამაღელვებლად ჟღერდნენ. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ლექსში გამოხატული იდეა მარადიულია და მას დღესაც არ დაუკარგავს მკითხველზე ემოციური ზემოქმედების ძალა. ლექსის იდეურ-მორალური კონცეფცია გამჟღავნებულია სამშობლოს, ადამიანის, სიცოცხლის ამაღლებულ ტრფიალში, საერთო-სახალხო ინტერესებისათვის თავდადებაში, რაც ერთნაირად საჭიროა როგორც ომის, ისე მშვიდობიანი მშენებლობის დროს.

პოეტის ომისშემდგომი პერიოდის შემოქმედებაშიც ლოგიკურად გრძელდება ცხოვრების მოვლენების აღქმის თავისებურება, რადგან ცხოვრება პოეტისათვის არის არა მარტო შთაგონების წყარო, არამედ, უხეშად რომ ვთქვათ, საალმშენებლო მასალაც.

ალეკო შენგელია მთელი არსებით განიცდის თანამედროვეობას, იგი სუნთქავს საკუთარი ბედის გამომჭედელი საბჭოთა ხალხის ცხოვრების ატმოსფეროთი, მისთვის მშვენიერება სოციალისტურ სინამდვილეში იღებს საწყისს და ამიტომ გულწრფელად შეჰხარის ცად აზიდულ ხარაჩოებს, გატეხილ ყამირებს, ჰიდროელსადგურებს, ინდუსტრიულ გიგანტებს, სარწყავ არხებს, დამშრალ ჭაობებს, — ქვეყანას სილამაზითა და დოვლათის სიუხვით რომ ავსებენ, ძლიერებას მატებენ და შთამაგონებელ სიმღერებად იქცევიან.

დიდი დღე დადგა,
ხარაჩოებს შეენთო ცეცხლი,
გაჩნდა სიმღერა,
რაც არ გვითქვამს,
არ გვიმღერია,
მწამს, გაზაფხულსაც
სხვას მოიყვანს
სიცოცხლე მერცხლის,
რადგან სამშობლოს,
განახლებულს,
სულ სხვა ფერი აქვს!

ეს სტრიქონები მკითხველის ყურადღებას იქცევს როგორც ცხოვრების სიახლეების ხილვით, რეალურის დამაჯერებელი შეგრძნებით, ისე პოეტური ფრაზის ლაკონურობითა და გამჭვირვალობით.

პოეტს შემოდგომა დაუდგა, მაგრამ მის პალიტრას ფერთა ცხოველმყოფელობა არ დაკლებია. პირიქით, ქართული შემოდგომა სწორედ ფერთა ნაირსახეობის სიმდიდრით ხასიათდება და ალეკო შენგელიას შემოდგომის ფერებიც უფრო ღრმა და მიმზიდველია.

**ერემია ქარელიშვილი**

# სიჭაბუკიდან ახლობელი

ალეკო შენგელიას სიჭაბუკის წლებში გავეცანი და იმ ხნიდან მოყოლებული დღემდე გრძელდება ჩვენი მეგობრობა. სიჭაბუკის წლებს როცა ვიხსენებ, უპირველესად „ცისკრის" წინამორბედი — ჟურნალი „ჩვენი თაობა" და მის ირგვლივ შემოკრებილი ახალგაზრდობა მაგონდება. ჭაბუკები ვიყავით, ზოგიერთი ჩვენგანის ლოყას მაშინ სამართებელიც კი არ შეხებოდა. ეს ის დრო იყო, როცა გაუბედავად ვდგამდით პირველ ნაბიჯებს ქართულ მწერლობაში და სულმოუთქმელად ველოდით ჟურნალის ფურცლებზე პირველი სტრიქონების გამოქვეყნებას. „ჩვენი თაობის" რედაქციას ერთადერთი ოთახი გააჩნდა, იქ იყო ჩვენი თავშესაყარი და თავშესაფარი, სადაც ჩვენზე უფროსებსაც, უკვე სახელდამტკიცებულ მწერლებსაც ვხვდებოდით და ვეამხანაგებოდით. მათ კარგად იცოდნენ ჩვენი ავ-კარგი, კარგად იცნობდნენ ჩვენს ნედლსა და თითქოს გაურანდავ სტრიქონებს, შეძლებისგვარად ხელს გვიწყობდნენ და ნამდვილად ჩვენი შემოქმედების გულწრფელი და სინდისიერი ჭამნაგირები იყვნენ. ჩვენ, ჭაბუკები, არცთუ ცოტანი ვიყავით. „ჩვენი თაობის" რედაქციაში დაიბადა ჩვენი ამხანაგობა, ეს იყო დიდი სამამულო ომის დაწყებამდე ოთხიოდე წლით ადრე. ომის წლებმა ბევრი ნიჭიერი შემოქმედი და მეგობარი წაგვართვა და დღესაც ჭვალივით გაგვკრავს ხოლმე მათი სახელების გახსენება.

თანატოლთაგან მხოლოდ რამდენიმე შემომრჩა სიჭაბუკის წლებიდან და მათ შორის ერთ-ერთი ალეკო შენგელიაა, რომელსაც ახლახან სამოცი წელი შეუსრულდა.

მეხსიერება ისევ სიჭაბუკის წლებისკენ მიბიძგებს და მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა ჩემს მეგობარზე. ალეკო შენგელია ორიოდე წლით თუ იყო ჩემზე და ზოგიერთ ჩემს მეგობარზე უფროსი, მაგრამ ჩვენზე ადრე ლექსების გამოქვეყნებაზე არ უფიქრია და არც უზრუნვია.

ჩემს თვალწინ მოხდა მისი ნათლობა ქართულ პოეზიაში. თავიდანვე, პირველი ლექსებიდანვე გამოავლინა ალეკო შენგელიამ თავისებური, საკუთარი ინტონაცია, შემდეგ ეს ლირიკული ხმა თანდათანობით დაიხვეწა და საბოლოოდ ქართულ პოეზიას საინტერესო ლირიკოსი შეემატა. ახლაც კარგად მახსოვს, თუ რა წარმატება ხვდა წილად პოეტის ერთ-ერთ პირველ ლექსს „ანდერძი", რომელიც, დღესაც, თანამედროვე ქართული პოეზიის შენაძენად და ანთოლოგიურ ლექსად მიმაჩნია. მინდა გავიხსენო რამდენიმე სტრიქონი მაინც:

...გული დამაქვს სიყვარულით განახელი, მყვარებია... ო, ცრემლებიც მყვარებია; ჩემი ქვეყნის ძველი დარდი და ნაღველი ხანჯალივით გულში გამიტარებია...

...დავიღუპო!.. ნუ მიტირებთ დანანებით... ნაღველს გულში არასოდეს გავივლებდი. ჩემი ქვეყნის ლამაზებო, მანანებო, დამაყარეთ გაზაფხულის ყვავილები.

ასევე მოვიხიბლეთ მაშინ ჭაბუკი პოეტის ლექსებით: „გახსენება", „შველი", „ნუკრია", „ასე პატარა.." ეს ლექსები ალეკოს პირველ წიგნშია თავმოყრილი. პოეტის პირველ წიგნს დიდი მოწონება ხვდა წილად, გულთბილად შეხვდა ლიტერატურული საზოგადოებრიობა. ბევრი კარგი ითქვა და დაიწერა ამ კრებულზე.

დრო მიდიოდა და თანდათანობით ფართოვდებოდა პოეტის საასპარეზო და მის შემოქმედებაში მკვიდრდებოდა ახალი, ცხოვრებისეული სურათები და სახეები, შემოქმედი პოეზიის ძნელ გზაზე მიდიოდა, მიდიოდა ცხოვრების მხარდამხარ და ახალ ფერებსა და ელვარებას მატებდა თავის პოეტურ სამყაროს. იგი ყოველთვის გაურბოდა ბრჭყვიალა და თითქოსდა თვალისმომჭრელ სამკაულებს, არ გაჰყოლია ამგვარ ცდუნებას და არც მომაბეზრებელი პათეთიკისათვის გაუღია დიდი ხარკი. ალეკო შენგელიას ლექსი ყოველთვის გამჭვირვალე და ნათელი იყო, პოეტური აზრი მკაფიო, მეტაფორული და გასაგები. მის ლექსს თან ახლავს არაჩვეულებრივი უშუალობა, მომხიბვლელობა და ლირიული სითბო. ეს ის ლირიული სითბოა, რომელიც ასე გაგვიძვირდა ამ ბოლო დროს ქართულ პოეზიაში, და რომელიც სანატრელი გახდა ზოგიერთი პოეტისათვის.

ალეკო შენგელია, როგორც ნიჭიერი შემოქმედი, ჩვენი ცხოვრების ყველა ეტაპზე იდგა მოწინავე პოზიციაზე. ეს იყო მრისხანე ომის დროს თუ აღმშენებლობის წლებში, ამაზე მეტყველებს მისი მრავალი ლექსი, რომელთაც საქართველოს ფარგლებს გარეთაც კარგად იცნობენ და მოსწონთ. ამის დასტურად იური გაგარინის სიყვარულით ნათქვამი სტრიქონებიც საკმარისია გავიხსენოთ.

ალეკო შენგელია ამ ბოლო ხანებში განსაკუთრებით გულმოდგინედ მუშაობს, აქტიურად ეხმაურება ჩვენს დღევანდელობას. მთელ თავის ნიჭსა და ენერგიას ახალი საქართველოს წინსვლისა და გამარჯვების საქმეს ახმარს.

პოეტმა დიდი გზა გაიარა, მაგრამ კვლავ დიდი გზა აქვს გასავლელი. გამარჯვება მინდა ვუსურვო ამ გზაზე ჩემს ძვირფას ალეკოს — სიჭაბუკიდან ახლობელსა და განუყრელ მეგობარს.

რევაზ მარგიანი.



მეგობრული შარჟი
თენგიზ გოგოლაძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოთხრობები

## ომისდროინდელი ამბები

●

რესპუბლიკის სახალხო არტისტს ელისაბედ ჩერქეზიშვილს დიდი და პატარა დეიდა ლიზას ეძახდა.

ჩიხტიკოპში და ლეჩაქში გამოწყობილი დეიდა ლიზა თეატრის ფოიეში რომ შემოვიდოდა, ყველანი ფეხზე წამოდგებოდნენ.

— მობრძანდით, დეიდა ლიზა!

— დაბრძანდით!

— როგორ გიკითხოთ, დეიდა ლიზა?!

— სლაბოო! — ბაძავდა ხანუმას ელისაბედი.

ამ სიტყვაზე მსახიობები იცინოდნენ და დეიდა ლიზას ეხვეოდნენ.

ვისაც ხანუმა-ჩერქეზიშვილის და აკოფა-გოცირიძის დუეტი უნახავს, დაგვეთანხმება, რომ ეს იყო რაღაც არაჩვეულებრივი სცენური ჰარმონია, სადაც ყოველი მოძრაობა, მიმიკა თუ ინტონაცია ერთ მთლიანობაში შერწყმული, სცენაზე საზეიმო განწყობილებას ქმნიდა.

თეატრში იმხანად, სცენის მუშაკად ერთი ყმაწვილი, სახელად ფრიდონი მუშაობდა, რომელიც განსაცვიფრებელი სიზუსტით ბაძავდა მსახიობებს, განსაკუთრებით ელისაბედ ჩერქეზიშვილსა და ნიკო გოცირიძეს.

ფრიდონმა ერთხელ ჩერქეზიშვილის თანდასწრებით ხანუმა განასახიერა. დეიდა ლიზამ ამაზე ბევრი იცინა და თქვა, — ამ ბიჭისაგან კარგი მსახიობი დადგებაო.

ერთ-ერთი წარმოდგენის მსვლელობის დროს მოულოდნელად ფრიდონი ცუდად გახდა. გულწასული ყმაწვილი სწრაფად გავიყვანეთ კულისებში და დახმარება აღმოვუჩინეთ. გამოირკვა, რომ იმ დღეს არაფერი ეჭამა და შიმშილისაგან წასვლოდა გული.

ჩერქეზიშვილი ძალზე შეწუხდა, მაშინვე ჩანთიდან გაზეთში გახვეული პურის ნაჭერი ამოიღო და ყმაწვილს გაუწოდა.

— აჰა, ჭამე, შვილო!

ფრიდონმა ჯერ იუარა, მაგრამ დეიდა ლიზას სახეზე თბილი ღიმილი რომ დაინახა, გათამამდა და პურის ნაჭერი გამოართვა.

— აბა, ახლა როგორ ხარ, ხო კარგა ხარ? — შეეკითხა ელისაბედი, როცა მან პურის ნაჭერი გაათავა.

— სლაბოო... — უპასუხა ყმაწვილმა ხანუმას სიტყვით, რამაც საერთო სიცილი გამოიწვია.

●

ომის დაწყების მეორე დღე იყო... მსახიობი ბაბო გამრეკელი თეატრში ჩვეულებრივზე ადრე მოვიდა.

ბაბო თეატრის კარებს რომ მიუახლოვდა, იქვე ხესთან, დაღონებული გიორგი ნაკაიძე შენიშნა.

— რა თავ-პირი ჩამოგტირის, ბიჭო?! — შეეხმიანა ბაბო.

— ეხ, ქალბატონო ბაბულია... უკანასკნელად ვდგევარ ჩემი საყვარელი თეატრის წინ და როგორ არ ვიტირო?!

— უკანასკნელადო? რას ამბობ, რას?! — გაუწყრა ბაბო.

გიორგიმ ჯიბიდან სამხედრო კომისარიატის უწყება ამოიღო და ბაბოს უჩვენა.

— მოვედი, რომ დაგემშვიდობოთ! — თქვა მან.

გიორგი ნაკაიძე ახალგაზრდა იყო, მაგრამ მას უკვე ნათამაშევი ჰქონდა თხუთმეტიოდე როლი.

ნაკაიძე ფრონტიდან თეატრში ხშირად აგზავნიდა წერილებს.

გავიდა ორი წელი...

თეატრში ერთ დილით ვიღაცამ ამბავი მოიტანა, ნაკაიძე დაიღუპაო.

უ. ზარეკიძე



გიგლა ფირცხალავა და ნოდარ დუმბაძე.

„გმადლობთ, ბატონო გიგლა, მშვენიერი ხელოვნებისათვის“, — წერია პირველ გვერდზე — ეს, ალბათ, ვიღაც ზედმიწევნით თავაზიანი კაცის დაწერილია.

„ამის მსგავსი არაფერი მინახავს“, — ეს ვიღაცაა, უნახავია.

„შენ შემოგევლოს, გიგლა, ჩემი თავი, ასე რომ გვახარებ“, — ეს, ალბათ, ნათესავის დაწერილია.

„მთელს საბჭოთა კავშირში, შენისთანა კარიკატურისტი არ იქნებოდეს იქნება!“ — ამას წყალი არ გაუვა, მეგრელის დაწერილია.

«Я не на выставке нахожусь, а на празднике таланта».

ამის დამწერს ისიც ვერ გაუგია, გამოფენაზე რომ იყო და რა უნდა ველაპარაკო?!

„მე ძალიან ვცუხვარ, დიდად პატივცემულო გიგლა, რომა თქვენა, ინგლიშელი მხატვარი არა ბრძანდებით“, — წერს ვიღაც ინგლისელი თავისი ჩიქორთულით. მაგას ჩვენც ვწუხვართ, ბატონო... და თუ ჰგონია იმ ინგლისელს გვთხოვოს და არ გავატანთ, ძალიან ცდება. წაიყვანოს და ღმერთმა მოახმაროს!

„შენ თვითონ ხარ მაიმუნი!“ — უცვნია თავი ვიღაცას.

„ყოჩაღ, გიგლა, მაიმუნს რომ წერა-კითხვა ასწავლე!“ — ამხნევებს მხატვარს ვიღაც თავხედი იქვე.

და ბოლოს:

„ულრმესი მადლობა, ბატონო გიგლა, თქვენმა ბრწყინვალე კარიკატურებმა ძალიან დაგვაფიქრეს ქართველები“. — ეს აშკარად თვითონ გიგლას დაწერილია და საერთოდ მსგავსი დითირამბებით სავსე ამ შთაბეჭდილებათა წიგნის ეს სამტომეული ორგანიზებულ ხასიათს ატარებს და მაინც და მაინც საგულისხმოს არაფერს გვეუბნება. მაინც რაშია საქმე, რით ავხსნათ ამ კაცის ასეთი პოპულარობა?!

მაგალითად, ერთმა მითხრა — მაგას თავი კი არა, გული აქვს დიდიო!

მეორემ მითხრა — კეთილშობილი კაციაო!

მესამემ — მოყვასიაო!

მეასემ — პატიოსანიაო!

# ღია ბარათი

## გიგლა ფირცხალავას თაყვანისმცემლებს

ღმერთმა ისე დამსაჯა, რომ ეს უკანასკნელი ათი წელია გიგლა ფირცხალავას ქების მეტი თითქმის არაფერი გამიკეთებია. ვინ იფიქრებდა, რომ ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლებს გიგლა ფირცხალავას აპოლოგიას შევალევდი. მაგრამ ვის ვუსაყვედურო, როდესაც ეს საქმე თვით გავიხადე პროფესიად. ცოდვა გამხელილი ჯობს, არც გიგლა ფირცხალავას უთხოვნია მაინც და მაინც მაქეო, ერთხელ ისიც კი მითხრა — რას მამადლი ამ შენს ქებას, თუ გინდა სულაც მაგინეო. — და ახლა, ცოტა არ იყოს შეურაცხყოფილი, სწორედ ამ განზრახვით ვუზივარ საწერ მაგიდას. დიახ, გაბრაზებული ვუზივარ საწერ მაგიდას. კედლიდან კი დამცინავად მიმზერს გიგლა ფირცხალავას ხელით შესრულებული, შარვალშემოგლეჯილი, პერანგშემოპრეწილი, წარბებაპრეხილი, ბანჯგვლიანი, გაუპარსავი და თითქმის ფეხშიშველი ჩემივე კარიკატურა.

ეს ის კარიკატურაა, რომლის ნახვითაც შეძრწუნებულმა მამაჩემის ძმამ, ალიოშამ მკითხა:

— ვინ დაგხატა, ბიჭო, ასე?!

—გიგლა ფირცხალავამ! — ვუპასუხე.

— არ შემოუშვა სახლში! — თქვა მან და კარიკატურას თვალი აარიდა.

— რატომ? — ვკითხე მეგობრის დაკარგვის პერსპექტივით შეწუხებულმა.

— მტერია მაგი შენი! — ისე მითხრა, შეკამათება ვერ შევბედე.

ისე, იცოცხლეთ, კარიკატურას კი აწერია დიდი ასოებით—მეგობრული შარჟიო, მაგრამ მეგობრებს ასე ხატავენ? გათავდა, ეგ ნომერი აღარ გაუვა გიგლა ფირცხალავას. მე ასე მესმის: — ცალმხრივი მოძრაობაა კარგი და არა სიყვარული!

მაინც რა ნახა ქართველმა ხალხმა ამ ბურთივით მრგვალ კაცში, რომ ჩააბარა განუსაზღვრელი პოპულარობის მანდატი და გაუშვა ამ დალოცვილ დუნიაზე?!

ლამაზია? — არა მგონია.

ლონიერია? — მაგის გალახული კაცი ჯერ არ მინახავს, თვითონ კი რამდენჯერაც გნებავთ.

მდიდარია?—მრცხვენია, რომ ვამბობ, მაგრამ აგერ ათი წელია, ჩემი ასი მანეთი მართებს და არ მიბრუნებს.

სერიოზულია? — ისე რა ვუთხრა მაგას.

აბა, რაშია საქმე?

ახლახან მისი ნახატების გამოფენა იყო, სამ თვეს გაგრძელდა. ჩავიხედოთ შთაბეჭდილებათა წიგნში, იქნებ იქ წერია რაიმე საგულისხმო.

მეათასემ — ნამდვილი მამულიშვილიაო!

მემილიონემ — ნიჭიერია, ბატონო, ნიჭიერიო!

ყველა დანარჩენმა — ხალხის წიაღიდან მოდის, ხალხის გულში იხედება. ხალხის ფიქრის სარკეაო და მეტი რაღა უნდა იყოს ერთი უბრალო ქართველი კაციო?!!

მართლაც, რა ქნას ერთმა მამულისათვის თავდადებულმა კაცმა, რომელსაც თავისი ნათელი სულისა გამო, სუფთა გულისა გამო, ნიჭიერებისა გამო, საკუთარი ხალხის უზომო სიყვარული დაუმსახურებია და ერთი პატარა, ჯადოსნური, ფერადი ფანქრითა და ფუნჯით ის უზომო სიყვარული ერთი ასად დაუბრუნებია თავისი კეთილი ხალხისათვის.

...და კიდევ ერთი საიდუმლო აქვს გიგლას. კერძოდ ის, რაც მე დამემართა: რამდენჯერაც არ მივუჯექი საწერ მაგიდას, მისი განსაქიქებელი პამფლეტის დასაწერად, იმდენჯერვე მისი შემოქმედების აპოლოგია გამომივიდა. ეს ისეთი საიდუმლოა, რომელსაც, ალბათ, თვითონ გიგლა ფირცხალავაც ვერ ახსნის.

**ნოდარ დუმბაძე**



ნოდარ დუმბაძე

მეგობრული შარჟი გ. ფირცხალავასი



გიგლა ფირცხალავა

მეგობრული შარჟი ჯ. ქანიშვილის



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარინე კობიაშვილი

ფოტო ა. საკოვისა

1973 წლის ივნისში თბილისის სსრ კავშირის ორმოცდაათი წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების ელექტრომემონტაჟემ მარინე კობიაშვილმა გამოიჩინა მეტად სასახელო ინიციატივა — „ხუთწლედი — სამწელიწადნახევარში!“ ახალგაზრდა ოსტატისათვის ეს მეტად საპასუხისმგებლო საქმე იყო. მარინეს სჯეროდა, რომ იგი სამშობლოსა და კოლექტივის წინაშე აღებულ ვალდებულებას პირნათლად შეასრულებდა. და აი, მან სამშობლოს .უპატაკა აღებული ვალდებულების შესრულება და 1975 წლის ანგარიში გახსნა. მარინეს მიერ გამოშვებული პროდუქცია მაღალი ხარისხისაა. იგი ტექნიკური კონტროლის გარეშე აბარებს გამოშვებულ პროდუქციას. დამკვრელური შრომისა და გამოშვებული პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის თბილისის სსრ კავშირის ორმოცდაათი წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელს მარინე კობიაშვილს 1974 წლის ლენინური კომკავშირის პრემია მიენიჭა.









ენგურჰესის მშენებლები.



სინათლე მთებში

# დინარა ნოდია

მოსავალი



## იონა ვაკელი

### სიკეთის უკვდავება

რაც ეს ქვეყანა არსებობს, მუდამ
ბოროტ ვნებებთან ბრძოლაა ცხარი.
და თუ კაცს ქვეყნის სიკეთე უნდა,
ნათელ გულისთქმას აუბას მხარი.
რაც სულს აწუხებს, ლანდივით ქრება,
ავის მთესველსაც ცუდი აქვს ბოლო,
ხალხის გულში კი უკვდავად რჩება,
ერის წყლულების მკურნალი მხოლოდ!

### ნათელი აზრი

რა სხარტია და რა დიდებული
ჩვენი გონების ნათელი აზრი,
მის გვერდით დადის, ღვთით ბოძებული,
ლალი სიბრძნეც და ყაყანი ბაზრის.
ის მუდამ გვედგა ბრძოლის დროს მხარში,
რომ აღეკვეთა ხმა წარმართული,
სიმართლისა და ხსნის ძიებაში
არ ისვენებდა აზრი ქართული.
არ ისვენებდა, იბრძოდა იგი,
არწივის მსგავსად ფრთებშემართული,
რომ სასოების უკვდავი ფიქრით
გადაერჩინა მიწა ქართული.
და ახლაც იგი. როგორც მზის შუქი,
დგას ხალხში ისევ უკვდავ სიმართლედ,
ის ძლიერია, როგორც ქარბუქი,
და უბრალოა, როგორც სინათლე!

## ვახტანგ გორგანელი

### შირაქის გზაზე

რა ვქნა, ზღაპარი აღარ დამთავრდა,
იებია თუ მისდევს ლადარი?
შენი თვალების მზერამ გამთანგა,
თუ ზედ მემსხვრევა ივრის ლაჟვარდი?
დაღამებამდე გული გეფერა,
არა მქონია მაინც იღბალი,
მეგონა, შემხვდი ნაზი პეპელა,
შემომეყარე თურმე გრიგალი.
რა ჩრდილებია ერთად მიჯრილი,
არ წვიმს, მაშ მინდვრებს ვინღა ასველებს?
სად დაგემალო? შავბნელ სიკვდილში?
მაგრამ იქაც რომ არ მომასვენებ.
თუ ხარ, კიდევაც უნდა იწვოდე,
უნდა გშვენოდეს თვალის გახელა...
ეს გაუმარჯოს ქვეყნად სიცოცხლეს,
სიყვარული რომ ჰქვიან სახელად.

### სულ ასე ენთოს

ამ ლაჟვარდებმა ეს რა იციან,
ან სად თავდება მიჯნა თქმულების?
ღამით ვარსკვლავნი ცაში იწვიან,
დღისით იორზე ბროწეულები.
ისე დაცურავს მთვარე ყანაში,
ასე გგონია, ხელით მისწვდები.
ერთს გადახედავ მინდვრებს ალაზნის
და ჯადო გიპყრობს თავდავიწყების.
და ამბობ: ეს ცა სულ ასე ენთოს,
სცემდეს მარადის მტერს შიშის ზაფრას.
ამ მიწა-წყალზე ნუ მოშლი, ღმერთო,
ქართველი კაცის შნოსა და ლაზათს.
სულ დაუბედე სინათლე სივრცეს,
არ ამოაშრო სიცოცხლე ფესვში
და გაამრავლე ქართველიც ისე,
ვითარცა წყალში მრავლდება თევზი.

### მოხუცი მწყემსი

შაქრო მარტყოფლიშვილს

თმაში თეთრი მოგეძალა, შაქარ,
საუკუნეს უკაკუნებ კარებს.
საუბარში ისე ურევ შაქარს,
თითქოს ერთხელ არ გინახავს მწარე,
თითქოს გრიგალს არ გაუკრავს ტორი
და არც ჯანღი მოსდგომია მთა-ველს...
გიყურებ და მეჩვენები შორით,
მწყემსის კომბალს დაყრდნობია მთვარე.
„დავბერდით, დასვენებას ვითხოვ",
უნებურად შენც წამოგცდა ერთხელ
და რატომღაც მიეძალე სითბოს,
ოჯახში რომ მოჰფენია კედლებს.
მაგრამ უცებ შეტრიალდა სხვარიგ,
უქმად ყოფნას ვეღარ ეძმო გული.
ჩაგეკეტა თითქოს სახლის კარი,
დაგეკარგა მოსვენება სრული.
მიაშურე კვლავ შირაქის მინდვრებს,
მოეფერე მის ფუძეს და ლიბოს,
კვლავ სიცოცხლე ხელმეორედ იგრძნე
და მოგედო კვლავ ოჯახის სითბო.
დაგიბრუნდა კვლავ კაცური ფერი,
ივრის ჭალებს კომბალით რომ მოჰყე
და იყავი მხოლოდ იმის მთქმელი,
მწყემსი უნდა მწყემსობაში მოკვდეს.
თითქოს გრიგალს არ გაუკრავს ტორი
და არც ჯანღი მოსდებია მთა-ველს...
გიყურებ და მეჩვენები შორით,
მწყემსის კომბალს დაყრდნობია მთვარე.

### მწყემსი

ლადო გოგილაშვილს

გოგილაანთ ბიჭო ლადო,
ეგ რა ცეცხლი მოგდებია?
ვერ გავიგე შენს ნახირში
ვეფხვები თუ ლომებია?!
ცას რომ მხრები შეუყენეს
შეაჟრჟოლათ დაბლა ბელტებს,
იორში რომ შეერიენ —
ალაზანი გადაკეტეს.
გულმა საით გაიწია,
სად დაიდგავ მაინც კარავს?
ნახირი რომ გაირეკე,
ვარსკვლავების გაჰყვა ფარაც.
ჯერ დუმილი გახელმწიფდა,
მთები დიდხანს უხმოდ იდგნენ,
მერე მთვარე ჩამოიღე
და მერცხლები აქვითინდნენ.
ნუთუ მართლა შენი სიტყვა
დილის ცვარში ნაწებია?
მთას რომ მოსდევს ეს ნისლებიც,
შენი ირმის ნაწველია?
ნუთუ მართლა ეს კორდები,
იმ ფურების ჯიქნებია,
სოფლისაკენ ჭალა-ჭალა
ჭრელჭრულად რომ მიჰყვებიან?
მინდვრის ბოლოს ეს რა მოჩანს,
რა სიამე სივრცეს ავსებს,
ბიჭო ლადო, ეს შენა ხარ,
თუ მზე დადგა შუბის ტარზე?
რა ღვთიური ხმები მოგდევს,
ეგ რა ცეცხლი მოგდებია?
ვერ გავიგე, შენს ნახირში
ვეფხვები თუ ლომებია?!

## ვანო ჩხიკვაძე

### კახეთი. ივლისი

ბრუნავდა კევრი,
კონკილაზე შემომდგარ ურემს
ება ბოჩოლა,
იქავებდა უკბილო-ნუნებს.
გადასდიოდა,
ლილისფერი
მზედაკრულ ზვინებს.
წრუპავდა ძაღლი
ნაჩლიქარში ჩარჩენილ წვიმებს.
აპირქვავებდნენ
ტომარაში
ავსებულ ჩანახს,
ნატვრით უმზერდნენ
გრილი ჩრდილით
გაბოლილ ჭალას,
ბრუნავდა ცხრილი
თავზემოთ და
მახობლის სურნელს
ანაწილებდა
ივლისის თვის თაკარა ფურნე...
ბრუნავდა კევრი,
ბრუნავს კევრი,
„მივდევთ ყანასო"...
მოგიკვდეთ მტერი,
ცელისპირზე
სხივი თამაშობს.

### შეხვედრა

ამოვათავეთ იდუმალებით მოცული კიბე,
მოგვჭრა თვალები
ბრწყინვალებამ ნაწვიმარ მოლის.
ენთო სახმილი.
გრილ რიყეზე ფეხმორთხმულ მთიბველს
მხრებზე ეფინა
დარხეული ჩრდილები წნორის.
ის ძელქვა იყო,
ჩვენ ლვედივით ტკარცალა წკნელი,
ვწუხდით,
ვეძახდით კენწეროებს ცაზე არეკლილს,
მთიბველის მკლავქვეშ
ცახცახებდა მდინარის წელი
და სალესავი
წკრიალებდა, როგორც სამრეკლო.

### ალავერდი

ლევან გოთუას გახსენება

გახსნიან კარებს (ჩურჩული დროთა
შეგხვდება ფოთლის ცვენით).
და ალავერდი დაიწყებს ტორტმანს,
როგორც მეჩეჩზე გემი.
— სად ხარ?!
ეძახი ბატკნის სულივით
ცისკენ გაფრენილ კედელს.
ო, სად იყავი, როცა მწყუროდა,
ან რად მოხვედი შემდეგ,
როცა გადატყდა მკერდზე მახვილი
და მოსახდენიც მოხდა.
როცა თურქული იატაგანი
ეგდო სისხლიან ნოხთან.
არ დაიჯერო, უტყვი კედლები
არ დაანებო ავსულს.
არ დაუბრუნდე, შენ გევედრები,
არ დაუბრუნდე წარსულს.
საქართველოთი, საქართველოზე
მეც დამალამა ფიქრმა.
შემინდე, თუკი ვერ დაგელოდე,
ქვაზე გიტოვებ ტვიფარს...
ჩაიმუხლები, გაბოლილ ფიქალს
თავით დაუდებ ყვავილს.
და საკუთარი მკლავივით გტკივა
სამეფო ბიჭის მკლავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გოლიათი ვაზები

ამბობენ, ქართველი კაცი და ვაზი ერთად დაიბადაო. მსოფლიოში გავრცელებული ვაზის ორი ათასამდე ჯიშიდან ერთი მეოთხედი, ანუ ხუთასზე მეტი ჯიში ქართული მიწის აბორიგენია. საქართველოში ძველთაგანვე მრავლად იყო ვაზის უნიკალური ეგზემპლარები. ბევრის მთქმელია ის ფაქტი, რომ კლდეში გამოკვეთილი ციხე-ქალაქის ვარძიის კარი ვაზის ფიცრისაგან ყოფილა დამზადებული. ვაზისაგან ამზადებდნენ საწნახელებს, ძვირფას საოჯახო ნივთებსა და სხვ. საქართველოში ახლაც მრავლად მოიპოვება გიგანტური ვაზი, რომლებსაც მნახველი აღტაცებაში მოჰყავთ.

გურჯაანის რაიონის სოფელ ჭანდარში კოლმეურნე ზაქრო მანიჟაშვილის ეზოში დგას ე. წ. „თეთრი, ოვალური ქიშმიშის" ჯიშის ვაზი. იგი ნახევარ საუკუნეს არის მიტანებული. ვაზის შტამბის სიმაღლე ორი მეტრია, ხოლო გარშემოწერილობა ნიადაგის ზედაპირთან 65 სანტიმეტრი. ვაზს 100 კვადრატულ მეტრზე მეტი ფართობი უკავია. ამ ვაზიდან მიღებულმა მაქსიმალურმა მოსავალმა ნახევარ ტონას გადააჭარბა. გურჯაანში ამ ვაზს „ჭანდრის გიგანტი" შეარქვეს.

სოფელ ქვემო ბოდბის მკვიდრის ლადო აბულაშვილის ეზოში საუკუნე-ნახევარს მიღწეული გოლიათი ვაზი დგას. იგი ალაგ-ალაგ დაფუტუროებულია, მუხის მსგავს შტამბზე, რომლის გარშემოწერილობა მიწის ზედაპირთან მეტრი და 20 სანტიმეტრია, ხავსი აქვს მოდებული. რამდენიმე წლის უკან ვაზი უჩვეულო სანახავი იყო. სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ჩანაწერების მიხედვით, გოლიათი ვაზის თალარს სიგრძე 200 მეტრზე მეტი ჰქონია, ეზო, ორსართულიანი სახლი და მის უკან მდებარე ფერდობი მთლიანად ვაზის მსხვილი ტოტებით ყოფილა დაფარული. ვაზის ხეივნის ჩრდილში ხშირად იმართებოდა დიდი ნადიმი. სიბერისა და ყინვების გამო ვაზისთვის ტოტები შეუჭრიათ. ახლა ვაზს 150 კვადრატული მეტრი ფართობი უჭირავს და ასობით კილოგრამ ყურძენს ისხამს.



საგარეჯოს მკვიდრის იოსებ მაკთალაშვილის ეზო „შავთითას" ჯიშის გოლიათ ვაზს დაუფარავს: ვაზის შტამბის სიმსხო უკვე მეტრს გადააჭარბა. შარშან მასზე 700 კილოგრამამდე ყურძენი მოკრიფეს. მტევნის საშუალო წონა 700-800 გრამზე მეტია, ზოგი მტევანი კი ორ-სამ კილოგრამს იწონის. „მაკნთალაშვილის შავთითა", როგორც მას საგარეჯოში შეარქვეს, ახლა სწრაფად ვრცელდება.

ვაზის ხეივნებით არის დამშვენებული გორის რაიონის ბევრი სოფელი.

სოფელ შერთულის მკვიდრს ალექსი გოხელაშვილს ამ ოცდათხუთმეტი წლის წინ ვაჟი შეეძინა. ამის აღსანიშნავად ალექსიმ სახლის წინ „გორული მწვანეს" რქა დარგო. ვაზს შვილივით მოუარა. ახლა მისი სიმსხო 60 სანტიმეტრს ჭარბობს. ვაზი სახლის კედელს მიებჯინა. ალექსიმ „შვილიდარი" (შვილის სადარი) ვაზი რომ არ დაზიანებულიყო, კედელი გამოანგრია. მისი სამი მეტრის შტამბზე გადაშლილი ტოტები 200 კვადრატულ მეტრ ფართობს ფარავს. შარშან მასზე 900 კილოგრამი ყურძენი მოკრიფეს.

საქართველოს რომელ კუთხეს არ ამშვენებს ვაზის უნიკალური ჯიშები. ვანის რაიონის სოფელ დიხაშხოში ნახევარსაუკუნოვანი „ალადასტური" კოლმეურნე იოსებ მამასახლისის ეზოში მეტად ორიგინალურ ხეივანს ქმნის. ხეივანი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ვაზისაგან დაწნული ოთახიაო. მოსავლიან წლებში მასზე ნახევარ ტონამდე ყურძენი იკრიფება.

გოლიათი ვაზი ბევრია რაჭაში, ლეჩხუმში, გურიაში, სამეგრელოში, აფხაზეთსა და აჭარაში.

გოლიათი ვაზის ეგზემპლარების შესწავლას აწარმოებენ რესპუბლიკის მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და მისი საცდელი სადგურების მეცნიერი მუშაკები.

დავით ბიწაძე

## რა არ ხდება



### შეცდომა

ცხრამეტი წლის იტალიელი ვინჩენცა კოსტა სახტად დარჩა, როცა ერთ მშვენიერ დღეს ჯარში გასაწვევი უწყება მიიღო.

იტალიაში მოქმედი კანონი ქალების ჯარში გაწვევას არ ითვალისწინებს, ვინჩენცა კოსტა კი ქალთა სქესის წარმომადგენელი გახლდათ.

როგორც შემდეგ გამოირკვა, კოსტას დაბადების მოწმობაში თურმე შეცდომა იყო დაშვებული.

გასაწვევ პუნქტში ქალიშვილს მაინც მოსთხოვეს იმის დამადასტურებელი ცნობა, რომ იგი ნამდვილად ქალი იყო. ასეთი ცნობა პოლიციას უნდა გაეცა.

პოლიციამ თავი შეიკავა ცნობის გაცემაზე იმ დრომდე, ვიდრე ვინჩენცა კოსტა თავისი ქალობის დამამტკიცებელ დასკვნას არ მოიტანდა სამედიცინო კომისიისაგან.



### ორიგინალური კლუბი

ნიუ-იორკში არსებობს ერთი მეტად უცნაური კლუბი. ამ კლუბის წევრი შეიძლება გახდეს მხოლოდ ის პიროვნება, რომელიც, რაღაც შემთხვევისა თუ შეცდომის გამო, ოდესღაც ოფიციალურად მკვდრად იყო გამოცხადებული.

კლუბის ემბლემაა მომღიმარე თავის ქალა.

პრეზიდენტად არჩეულია კლუბის ყველაზე საპატიო წევრი — ადამიანი, რომელიც უკვე სამჯერ იყო გამოცხადებული მკვდრად.



### რას უჩივით, შვილო ჩემო?!

ინგლისელი მოძღვარი რიჩარდ სტეფენსი თავის მრევლში ალსარებაზე მოსულ მორწმუნეებს ყოველთვის ასე მიმართავს: „ჩვენი წინაპრები უშიშროდ ცხოვ-



**ზღარბი**

— რა ყოფილა ზღარბი,
უძლომელა, ხარბი,
სამი სახლი აიშენა,
მეოთხეზე დარბის!
— ძველი — დღევანდელს
აღარ ჰგავს,
რაცა აქვს —
მასაც დაკარგავს!

**კატა**

— რატომ ტირი, კატუნი,
რა დარდი გაქვს გულში?
— ბიძაჩემი ვეფხვია
მოუხსნიათ გუშინ!
— მერე რას იცრემლები?
— აბა რა მამლერებს,
„სათაგვეთის" არტელში
ვინლა გამაჩერებს?!



**ციყვი**

— რა აშინებს ციყვუნიას,
რატომ გააქვს კანკალი?
— ეშინია, წაართვან
მოპარული კაკალი.

**კაჭკაჭი**

— რა დაემართა, გაიგე,
ენაგრძელ კაჭკაჭ ყაყიტას?
— ჰო, როგორ არა, ტონა რკო
ორ ტონა თხილად გაყიდა!
ახლა ზის გალიაში და
გვიცქერის იგი მაღლიდან!



**ჭოტი**

— მოწყენილი რატომ ზის
ტყის დარაჯი ჭოტი?
— ღამით თაგვებს ეგ იჭერს,
სხვას მიართვეს ტორტი!



**ჭინჭრაქა**

— სად რას დაძვრება,
რას ითხოვს,
ნეტავ რა დაუთესია?
— პერსონალური პენსია —
ამტკიცებს უკეთესია...

ქ. გოგიაშვილი

## იგავები

## ხუთი კონტინენტის...

„ავტომატმრეწვის" რუსთავის საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის უფროსი ინჟინერი ვლადიმერ სლიოტოვი რამდენიმე წელია აგროვებს უსაფრთხო სამართებლებსა და მათ ეტიკეტებს. მის კოლექციაში არის ყველა კონტინენტის ორმოცი ქვეყნის 1200-ზე მეტი ცალი უსაფრთხო სამართებელი.

ვ. სლიოტოვმა გვიამბო, რომ კაცის სამართებლები ჰქონდათ ჯერ კიდევ უძველეს ცივილიზებულ ხალხებს (შუმერებს, ეგვიპტელებს), რომ ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულში მსოფლიოში გავრცელდა ბრინჯაოს სამართებლები, ძველი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულში — რკინის სამართებლები, რომ ყველა ამ ადრეული ლითონის სამართებლების პირი რკალისებრი იყო, რომაელებმა კი სამართებელი სწორხაზოვანი გახადეს.

უსფართხო სამართებლის გამომგონებელია ამერიკელი ჟილეტი. ასეთი სამართებლები გამოჩნდა მეოცე საუკუნის დამდეგს. ვ. სლიოტოვს აქვს 56 უსაფრთხო სამართებელი ამერიკის შეერთებული შტატებიდან, მათ შორის ძველებიც, ჟილეტის დროისა.

რუსეთმა უსაფრთხო სამართებლების გამოშვება 1923-24 წლებში დაიწყო. მოსკოვში იმ პერიოდში შეიქმნა „სამართებლებისა და უსაფრთხო სამართებლების დამამზადებელი რუსული ამხანაგობა", რომელსაც ნ. ლომონოსოვი მეთაურობდა. ჩვენს ქვეყანაში პირველ უსაფრთხო სამართებელს ეწოდებოდა „ლორა".

ამას წინათ ვ. სლიოტოვის იშვიათი კოლექცია შეივსო ბელგიური, ტანზანიური, ეგვიპტური და იაპონური უსაფრთხო სამართებლებით.

რობდნენ XIII საუკუნემდე, უნავთოდ და უქვანახშიროდ — XIV საუკუნემდე, უსაპნოდ — XVII საუკუნემდე, უგაზოდ და უელექტრონოდ — XIX საუკუნემდე, უავტომანქანებოდ, უკონსერვოდ და გაუყინავი ხორცის გარეშე — XX საუკუნემდე. ისინი არასოდეს არ წუწუნებდნენ. მაშ თქვენ რაღას უჩივით, შვილო ჩემო?!"



## ფილატელიის სიკეთე

ოციოდე წლის წინ პოლონელმა ექიმებმა ტატრებში აგებულ ტუბერკულოზიან ბავშვთა სანატორიუმში დაადგინეს, რომ პატარები, რომლებიც საფოსტო მარკების შეგროვებით იყვნენ გატაცებულები, სხვებზე უფრო სწრაფად ჯანმრთელდებოდნენ.

ამ ცნობამ ბევრი სპეციალისტი დააინტერესა. დაკვირვებები გაგრძელდა.

დღეისთვის დადგენილია, რომ ავადმყოფის ფილატელიით დაინტერესების მეთოდი — ფსიქოთერაპიის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.



## სადაზღვევო პრემია

დანიელი სტატისტიკოსები ირწმუნებიან, რომ მათი ქვეყნის ქალიშვილებს დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნის ქალიშვილებთან შედარებით უფრო მეტად უჭირთ გათხოვება.

ალბათ, ამიტომაც იყო, რომ კოპენჰაგენის ერთ-ერთმა სადაზღვევო კომპანიამ შემოიღო დაზღვევა... გაუთხოვრობაზე.

იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეული 35 წლამდე ვერ გათხოვდა, კომპანია მას სადაზღვევო პრემიას უხდის.

## რა არ ხდება

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

# მარათონი

ეს იყო შეჯიბრი ათკილომეტრიან დისტანციაზე.

დაძაბულობა სტარტიდანვე დაიწყო.

ხან ერთი გაასწრებდა, ხან მეორე.

ხალხი ღელავდა და ბობოქრობდა.

შუა დისტანციაზე ერთმა წარმოუდგენელი სისწრაფე განავითარა და როცა თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, მეორემ თანდათან მოიკრიფა ძალა, გააკეთა მკვეთრი ბიძგი, ოსტატურად აუარა გვერდი პირველს და ისარივით დაერჭო ფინიშზე.

ხალხი ყაყანით გადმოვიდა ავტობუსიდან, ხოლო მძღოლები ლანძღვა-გინებით დაერივნენ ერთმანეთს.



# ალპინიზმი

როდესაც მეშვიდე სატეხი გამიტყდა, ოფლი სახელოთი მოვიწმინდე და მხრები უმწეოდ ჩამოვყარე. ისე დავიქანცე, ძირს რომ ჩამოვიხედე, თავი ძლივს შევიკავე გადავარდნისგან. იმედი გამიწყდა, რომ მიზანს მივაღწევდი. დღე დაღამდა და წინ მილიმეტრითაც ვერ წავიწიე. რამდენიმე ადგილას ვცადე, მაგრამ სატეხმა ფეხი ვერ მოიკიდა. რკინა ტყდებოდა და გული, მითუმეტეს, რკინისა არ მქონდა და ისიც გამიტყდა. არადა, უკან დახევა აღარ შეიძლებოდა.

უცებ ბედნიერმა აზრმა გამინათა გონება. ჩემი ბინის წინ ასფალტს ანგრევდნენ. ხელოსანი ამოვიყვანე თავისი კომპრესორით და მივაყენე...

ორი საათის დაძაბულმა შრომამ ნაყოფი გამოიღო: კედელი გოჯის სიღრმეზე გავხვრიტეთ. უკვე შეიძლებოდა დირექტორის სურათის ჩამოკიდება.

რაფიელ მამულაშვილი





თეთრები იწყებენ და იგებენ

## ეტიუდი

ვუძღვნი გიორგი ცაბაძეს

თეთრი ეტლები სიმბოლურად მეფაიტონეს წარმოადგენენ. ეტიუდში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა გაჩაღებული და ამის წამომწყები თეთრი f ეტლია.

1. h7—h8ლ...

ცუდია 1. ეa8+? მფb8-ის გამო.

1. ... ლg8—g1+

1... კ:b8 თამაშის შემთხვევაში 2. ლb2+ მფa8 3. ეf8 მოგებით. 1... ლe1+ 2. ეb1 და იგებენ.

2. ეf 5—f1!! ...

ერთი შეხედვით ბუნებრივ სვლას 2. ეb1? მივყევართ ეტიუდური ყაიმისაკენ: 2... კe5+! 3. ლ:e5 (3. ე:e5 ლd4+) 3... ლd4+4. ეb2 ლd1+5. ეb1 ლd4+.

2... კc7—e5+!

შავები უარს აცხადებენ ეტლის აყვანაზე და თვითონვე სწირავენ კუს 2... ლ:f1 შემთხვევაში, თეთრები ადვილად იგებენ 3. ეb1-სვლით.

3. ლh8:e5 ლg1—d4+! 4. ეb8—b2! თუ 4. ლ:e5, მაშინ პატია 4. მფb1? ლe4 — ყაიმია.

4.... ლd4:e5 5. ეf1—f8+ მფa8—a4 6. c5—c6.

6. ეf8? შემდეგ 6... ლe1+7. მფa2 ლe6+ და ყაიმია.

6. ... ლe5—e1+ 7. მფa1—a2 ლe1—e6+8. ეf3—b3 მოგებით.

ეს ეტიუდი გაგზავნილია ინგლისში „ნიუ სტეიტსმენის“ 1975 წლის კონკურსზე.

გია ნადარეიშვილი

# კროსვორდი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჰორიზონტალურად: 1. ქალაქი ინგლისში. 3. ხის ნაყოფი. 5. ეკლესია. 6. ზღაპრული შინაარსის იგავი. 8. წიწვოვანი მცენარე. 9. ბრალდებულის სხვაგან ყოფნა ბოროტმოქმედების ჩადენისას. 11. ცხოველი. 13. სახელმწიფო აზიაში. 15. სპორტის სახეობა. 17. ქართული ჟურნალი. 18. პატარა სამგზავრო გემი. 20. ქართული მხატვრული ფილმი. 21. ქალაქი საბჭოთა კავშირში. 23. ფრანგი მწერალი. 24. ერთი და იმავე ელემენტის ატომები, რომელთაც აქვთ სხვადასხვა ატომური წონა. 25. საქართველოს მთიანეთის სალოცავი ხატი. 27. გულის დაავადება. 28. სიყვარულის ღმერთი. 30. თხრობითი ხასიათის ნაწარმოები ლექსად. 31. ბოჭკოვანი ქსოვილი ცოცხალ ორგანიზმებში. 33. ტრამვაის პირველი სახე. 34. თევზი. 35. ევროპაში გავრცელებული ალკოჰოლიანი სასმელი. 37. საყანედ გაკაფული ტყე. 38. განთიადი ანუ... 39. კონტინენტი. 40. მდინარე საქართველოში.

ვერტიკალურად: 1. ბლანდი ანუ... 2. ლენინის დაარსებული გაზეთი (ან მარქსისტულ-ლენინური გაზეთი). 3. სპორტის სახეობა, 4. ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი. 5. ზეთოვანი მცენარე. 7. მდინარე აზიაში. 8. უმცირესი ფულის ერთეული ძვ. თურქეთში. 10. რუსი იუმორისტი მწერალი. 11. საქართველოს ერთ-ერთი კუთხის წარმომადგენელი. 12. უმაღლესი თანამდებობის პირი ძველ ათენში. 14. ქვეყანა აზიაში. 15. გადასერილი ადგილი რამეზე. 16. ამერიკელების მეტსახელი. 17. დღე-ღამის რომელიმე მომენტი. 19. თუთიყუშის სახეობა. 22. ქართველი მწერლის სახელი. 23. ცხვრის ქონიანი დიდი კუდი. 26. შტატი აშშ-ში. 27. ქართული დეტექტური რომანი. 29. ჰომეროსის პოემა. 30. ფრანგი მხატვარი. 32. სოფელი ქართლში. 33. ინდოელი მსახიობი და რეჟისორი. 34. სიმებიანი საკრავი ძველ საბერძნეთში. 36. მნიშვნელოვანი აზრი, განზრახვა.

## „დროშის“ № 12-ში (1974 წ.) გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხი

ვერტიკალურად: 1. ბანანი. 2. მასა. 3. ბიეფი. 4. ჟანრი. 5. ვაზა. 6. პილოტი. 9. დიქცია. 13. ადიუტანტი. 14. დივიზიონი. 16. კალიუმი. 17. არტისტი. 22. ანემია. 24. იტალია. 26. „ავრორა“. 27. მისია. 28. აკაკი. 30. აზია. 32. არია.

ჰორიზონტალურად: 7. ბაზალტი. 8 ავიაცია. 10. ბაზა. 11. ეფრეიტორი. 12. ელოე. 15. იარდი. 18. რიონი. 19. კალიბრი. 20. ატონია. 21. მიმოზა. 23. ამონიტი. 24. იახტა. 25. უნცია. 29. კასა. 31. ბიოფიზიკა. 32. აკრი. 33. მილიონი. 34. კარიერი.

# ახალწლის ღამეს

ნახატები თამაზ ჩარჩავასი.



— ერთი ბუნებრივი ნაძვის ხე ვერ გიშოვნია, შენისთანა სიძის პატრონმა თავი უნდა ჩამოიხრჩოს!
— სხვათა შორის, მეც ეგ გავითვალისწინე.



— ქუჩაში რომ ზედმეტი სიჩქარისათვის მაჯარიმებდი, ახლა შენ დალიე ჯარიმა საახალწლო სუფრაზე დაგვიანებისათვის!



— თედო, ბარი და წერაქვი მაინც წამოგვეღო. სანგარს გავთხრიდით!

ახალი წლის ღამეს



კაკალ გულში

— ჩემო შვილო, ბავშვი აღარა ხარ, უკვე მესამედ ქორწინდები და არ მინდა, კვლავ განქორწინდე. თუ გინდა ბედნიერი იყო და ჩემსავით არეულ-დარეული ოჯახი არ გქონდეს, ცოლი მოახლედ გაიხადე. არაფერი დაუჯერო. „ტროიკა" გთხოვოს — „დვოიკა" უყიდე, ნიგვზიანი ხარჩო გთხოვოს — უნიგვზო აჭამე, ორი გითხრას — სამი უთხარი, სამი გითხრას — ექვსი უთხარი. ენას თუ არ დაიმოკლებს, მუთაქები დააყარე, უთაქე და უთაქე! ამას ჩემი საკუთარი გამოცდილებიდან გეუბნები..

## დარიგება

არ იფიქროთ, რომ ეს სიტყვები ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს და სოლომონ ბრძენის ხელით იყოს დაწერილი, ან არქივარიუსების არქივებში აღნუსხული მიწერ-მოწერილი ნაწერებიდან იყოს ამოწერილი, ან ანტიკური ეპოქის პროგრესულად მოაზროვნე ჰუმანისტი ფილოსოფოსების თხზულებებიდანაა ნასესხები. ეს სიტყვები ახალწლის ღამით, საქორწინო მოგზაურობის წინ, ჩემმა სიდედრმა ჩურჩულით მითხრა, ხელჩანთიდან მანქანის გასაღებთან ერთად ორი ათასი მანეთი ამოიღო, მოწიწებით მარჯვენა გულის ჯიბეში ჩამიდო, მოტვლეპილ თავზე ნაზად მეამბორა და 12 ნომერი ლამპის შუშით თავისი სადღეგრძელო დამალევინა.

თენგიზ პირველი

ნახ. დ. ერისთავის



ეროვნული ბიბლიოთეკა



ინგლისელმა აქტიორმა კენ დოდმა ამას წინათ ახალი რეკორდი დაამყარა... ანეკდოტების მოყოლაში.

ლივერპულის თეატრ „როიალ კორტში“ მან სამი საათის განმავლობაში შეუჩერებლად ილაპარაკა და სხაპასხუპით მოჰყვა 2 ათასი ანეკდოტი.



ამას წინათ რომში მძარცველებმა ბანკიდან გაიტაცეს 67 მილიონი ლირა. მანქანა, რომლითაც ბანდიტები გარბოდნენ, ერთ-ერთ ქუჩაზე ტრანსპორტით ჩახერგილ საცობში მოექცა. სხვა ჩარა არ იყო, მძარცველებმა მანქანა და ფული მიატოვეს და გაიქცნენ.

დანიელი პროფესორი დ. ეგზმოუზი, მთელი რიგი დაკვირვების შემდეგ, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ყოველი მოწეული სიგარეტი ადამიანს რამდენიმე წუთით უმოკლებს სიცოცხლეს.





ინგლისის კავშირგაბმულობის სამინისტრომ ახალი სახის ორიგინალური მომსახურება შესთავაზა ტელეფონების აბონენტებს.

სამინისტრო ეკლესიებში ამონტაჟებს სპეციალურ მოწყობილობას. აბონენტებს დაკვეთით შეუძლიათ თავიანთ ბინებში ტელეფონით მოისმინონ ეკლესიებში გამართული საქორწინო რიტუალები და საგალობელ-სადიდებლები.

# ნარევი · ნარევი · ნარევი · ნარევი



იაპონიის ქალაქ ფუკუსიმას სასამართლოს თავმჯდომარე ტორუ სეკიგუტი იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მაღალი პოსტი.

კანონის დამცველი სეკიგუტი ერთ-ერთ თვითმომსახურების მაღაზიაში იმ დროს დააკავეს, როცა იგი ცდილობდა 10 ათასი იენის სხვადასხვა საქონელი ქურდულად გამოეტანა მაღაზიიდან.



ამერიკის შეერთებულ შტატებში იხილავენ პროექტს, რომლის მიხედვით ჩვეულებრივი საქალაქო ტრანსპორტი უნდა შეიცვალოს ვერტმფრენებით.

სპეციალისტების აზრით, ვერტმფრენს ბევრი უპირატესობა აქვს: იგი გაცილებით უფრო სწრაფია, 1 300-ჯერ ნაკლები საქალაქო ფართობი სჭირდება, ტრანსპორტის გადატვირთვისგან ანთავისუფლებს ქუჩებს და ა. შ.

ვერტმფრენების ხმაური საჭიროა 90 პროცენტით მაინც შემცირდეს.

ვარშავაში სერიულად გამოუშვეს გრამფირფიტები, რომლებზეც ჩვილების დასაძინებელი სიმღერებია ჩაწერილი.

ექსპერიმენტის დროს 100 ბავშვიდან 15 წუთის შემდეგ 99 ბავშვმა მშვიდად ჩაიძინა.



იტალიის ტელევიზიით დაიწყეს ექსპერიმენტული გადაცემა... ყრუებისა და ყრუ-მუნჯებისათვის.

გადაცემა მოიცავს უკანასკნელი ცნობების მიმოხილვასა და ახალ სატელევიზიო ჟურნალს „ახალი ანბანი“.

მთელი დიალოგები და კომენტარები ტელეეკრანზე წარმოებს ყრუმუნჯთათვის კარგად გასაგები ე. წ. „ხელების ენით“.

გარეკანის პირველ გვერდზე: ზამთარი. მხატვარი ელენე ახვლედიანი. მეოთხე გვერდზე: რიგითი მილიციელი თინათინ კობერიძე. ფოტო თ. არჩვაძისა.

გადაეცა ასაწყობად 9/XII-74 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/I-75 წ. ქაღალდის ზომა 70×108¹/₈, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2,5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9, ტირაჟი 58.000. შეკვ. № 4409 უე 01702 ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი:

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.






# ქარზე უსწრაფესი




თბილისის სპორტულ-ტექნიკური კლუბი „გრიგალი“ ექვსი წლის წინათ შეიქმნა და თავისი არსებობის მანძილზე მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა. ამ კლუბის წევრებმა საკავშირო მასშტაბით ორჯერ გუნდური გამარჯვება დაისაკუთრეს, აღზარდეს სამი საკავშირო ჩემპიონი, მათ ლენინგრადისა და რიგის ღია პირველობებიც ბევრჯერ მოიგეს. ახლა კლუბის ავტომობილისტები ე. სავიცკი, გ. დგებუაძე, მ. ლოგანოვი და სხვები სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის, საკავშირო კატეგორიის მსაჯ ბ. შულცის ხელმძღვანელობით სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისათვის ემზადებიან.

ფოტო ა. რუხაძისა







ИНДЕКС 76056

ეროვნული ბიბლიოთეკა